

Հ Յ Օ Յ Ո

Nº 14

ქოველკვირეული ქურნალი.

Nº 14

ეფექტურებული საბოლოოტე, საშენიერო და საფინანსო  
ტურო ჟურნალი

## ଓঁ শুভেশ্বর

„L 60 30“

გაზეთის ფასი—ერთა წლით — 5 მან. ნახევარი წლით — 3 მ. ერთი თვით — არი შაური. ცალკე ნომერი ორი შაური. ხელის მაწერა შეიძლება ავტოგვ რამდენიმე ნომერზე, ორი არი შაურის ანკარიშათ, არა ნაკლებ ხეთისა.

ფონტის აღმენი: Тифлисъ, Типогр афія „Печатное Дѣло“, Алек-андру Сардіоновичу Ландіа, (Вельяминовская, 6).

ଶ୍ରୀଦାକୁମାର-ଗାମନମତ୍ରେମ୍ବେଲି ଏ. ଫେରାଶୀଳିଠା.

**შოთარაძე:** ალ. წულუკიძის ხსოვნას, ფ. ბ-ბისა.—შინა-  
ური მიმოხილვა, ნარისა.—ნორმალური დასვენება და კოო-  
პერატიული სასადილოები, ვიქტორ-ისა.—მცირე შენიშვნა,  
აქალგაბდაცი.—სახელმწიფო დემა. —საზღვარ-გარეთი. —  
რუსთას ცხოვრება.—ალ. წულუკიძის ხსოვნა', ლექსი, ვ. 3.  
ცენტრის მიშვილისა.—ჩემი დღიური, სპ. მცირიმშვილისა.—  
უმუშევრობა, პ. გ;ლიმშვილისა.—წერალი თერთნიდან,  
რეიცრალისა.—ეკონომიკური ცხოვრების განვითარება, შვან-  
ცისა.—მუშათა ცხოვრება: თუილისი' დეპო, ხნის ნოქარ-  
თა მღვმარეუბა.—თვალი და ხელოვნება, —და-სი.—სოცია-  
ლიზმი და ანარქიზმი, რეიცენტრიგისა.

ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნას.

(მისი გარდაუვალების შემდევ ხუთი წლის შესრულების გამო).

Нужны намъ великия могилы,  
Если нѣтъ величія въ живыхъ! • бузыбъза.

წელს, 8 ივნისს სწორეთ ხუთი წელიწადი ტრულდება მას შემდეგ, რაც ალექსანდრე წულუკიძე სამუდამოთ გამოისამა სიკუცხლეს. ჯერ კადევ სულ ახალგაზრდა, როცა მისი ნიჭი ის-ის იყო უნდა გაფურჩქვნილიყო, იგი ბრძოლის ველზე სიკვდილმა გამოივგლიჯა ხელიდან, რამაც მთელი ჩვენი ბანაკი საკრძნობელათ შეასუსტა მეტათ საჭირო მომენტში. ვის შეუძლია დაივიწყოს ეს დიადი გომენტი? ვის არ ხიბლავდა, ვის არ აღფრთოვანებდა ან არ ულვიძებდა ტკბილ ოცნებებს და საუკეთესო იმედებს ეს მართლაც გმირული ხან?, დამონებული, წელში გატეხილი, გაყვლეფილი ფიზიკურათ და გონებრივათ მუშა ხალხი პირველათ იკრეფს თავის ძალებს და ეწყობა საუკუნოების განმავლობაში გაჭედილი ბორკილების დასამსხვევათ! თუ რა დიადი გრძნობით, რა აღფრთოვანებით ე-ებებ-და ალექსანდრე წულუკიძე ამ ისტორიულ მომენტს, ამის წარჩოდგენა დაახლოვებით მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც განსვენებულს აქლა იცნობდა. სამწუხაროთ ყველასათვის, ამ დროს არა თუ მისი დღენი, არა-მცდ მისი სიცოცხლის წამნიც კი უკვე დათვლილი იყო! ულმობელმა სენმა, რომლითაც იგი შეპყრობილი იყო და რომლის წინაშე იგი ქედს არ იხრიდა, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგებოდა მის ბუნებას,—ბოლოს თავისი გაიტანა. ალექსანდრე მოკვდა იმ დროს, როცა რუსეთის ხალხის საყოველთაო დღესასწაული, გამოუთქმელ ტანჯვისა

და წვალების შემდეგ, ყველას მოახლოვებული გვეგონა. ეს ტკბილი იმედი მას თან ჩაყვა საფლავში.

მაგრამ ალ. წულუკიძის სიკვდილის შეძლევ აღარ  
გაუვლია დიდ ხანს, რომ ეს იმედი ყველას გაგვიცრუვ-  
და. ჩვენ განვიცადეთ კიდევ რამდენიმე მძლავრი ტალღა,  
რომლებმაც საზოგადოებრივი მოძრაობა წინ გააქანა და  
ჩვენი იმედებიც გააძლიერა, და შეძლევ სურათი უეცრივ  
გამოიცალა: ქვეყნა თითქო ჯოჯოხეთურმა ძალებმა  
შეიპყრესო. ალ. წულუკიძეს უკვე აღარ უხილავს ბნელი  
ძალების თავშეუკავებელი თარეში, რომელთან შედარე-  
ბით წინანდელი დრო ნანატრი შეიქნა. გარდა ამისა, იგი  
აღარ შეიქნა მოწამე მრავალ თავის „ამხანაგების“ და-  
ცემისა და გაორგულებისა იმ წმიდა საქმისაღმი, რომელ-  
საც იგი მათთან ერთათ ემსახურებოდა. სამაგიეროთ, მას  
წილათ ხვდა ჯერ არყოფილი, ჩვენში უმაგალითო გამო-  
თხოვება დასაფლავების დროს. ვეჭვობ, რომ არა თუ წარ-  
სულში, არამედ ახლო მომავალშიაც, სხვა რომელიმე სა-  
ზოგადოებრივ მოღვაწეს წილათ ხვდეს ჩვენში რაიმე ამის  
მსგავსი.

ახლა ვიკითხოთ: ვინ იყო აღ. წულუკიძე და რაში  
გამოიხატება მისი მნიშვნელობა? უნდა გამოვტყდე და  
ვთქვა, რომ ამ მხრით ყველა მის ახლო მეგობრებს დი-  
დი დანაშაული მიგვიძლვის. საქმე იმაშია, რომ გარდა  
იმისა, რაც ითქვა და დაიწერა მისი გარდაცვალების გა-  
მო, შემდეგ აღარავის აღარ უდინა აღ. წულუკიძის პი-  
როვნების დახასიათება და აგრეთვე მისი მოღვაწეობის  
გაცნობა. რა თქმა უნდა, მე აქ სრულებით არ ვფიქრობ  
ამ ნაკლის შეგსებას. აქ მე ვუთითებ მხოლოდ ამ ნაკლ-  
ზე და ვისურვებ, რომ ახლო მომავალში თავიდან აცდე-  
ნილ იქნას იგი.

აღ. წულუკიძე იყო ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იმ პატარა გუნდისა ჩვენში, რომელიც ჯერ კიდევ

გასული მეცხრამეტე საუკუნის დამლევს გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე და რომელიც თავის უმაღლეს და საკაცობრიო დანიშნულებას მუშა ხალხის გათვითუნბის ბირებაში ხედავდა. გამოსული ქართველი საზოგადოების მაღალი წრიდან, რომელიც კაი ხანია უკვე გახრწის გზზე იყო შემდგარი, ალექსანდრე ჯერ კიდევ ოცი წლის არ იქნებოდა, როცა დარწმუნდა იმაში, რომ მისი დანიშნულება-მოწოდება—ეს შრომელი ხალხის სამსახური უნდა გამხდარიყო; და იგი მთელი თავისი არსებით შეულგა ამ დიად საქმეს.

ამ ჩემ გამოზღაში ბევრი, ნიჭიერიც და უნიჭოც, მინახვს ამ ასპარეზზე გამოსული; მინახავს, თუ როგორ აკეთებდენ, ან როგორ გაურბოდენ საქმეს, მინახავს უკან დაბრუნებულნიც და ისეთებიც, ვინც ბოლომდის შერჩელ არჩეულ გზას, მაგრამ არც ერთ ამათგანს არ გავდა ალ. წულუკიძე. იმ წრეში, რომელშიაც ის მოქმედებდა, იგი სრულიად განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენდა. ბუნებისგან ნიჭით უხვათ დაჯილდოებული, ალექსანდრე დაუშრეტელი ენერგიით და მტკიცე დამოუკიდებელი ხასიათით, იგი შეურყევლათ მიღიოდა წინ მეცნიერული სოციალიზმის შესასწავლათ. შეუძლებელია იმის თქმა, თუ რომელი მხარე ამ მოძღვრებისა, პრაქტიკული თუ თეორიული, სკარბობდა მასში. უფრო მართალი იქნება, რომ ვთქვათ, რომ ორივე ეს მხარე თანაბრათ პოულობდა მასში თავის ღირსეულ გამომხატველს. ჩვეულებრივათ ჩვენ ვხედავთ, რომ ის, ვინც ძლიერია თეორიაში, პრაქტიკაში კოქლობს და პარიქით: ის ვინც ძლიერია პრაქტიკულ ცხოვრებაში, სუსტობს თეორიაში. ალ. წულუკიძე ამ შემთხვევაში წარმოადგენდა იშვიათ გამონაკლს. რა თქმა უნდა, ძნელია იმის მტკიცება, თუ ბოლოს, სრული დავაუკაცების ხანაში, თუ რომ ეს მას დასკულოდა, ვინ გამოვიდოდა ალ. წულუკიძისაგან: თეორეტიკოსი თუ პოლიტიკური მოღვაწე, ვინაიდან ფართო თეორეტიულ ცოდნასთან ერთათ იგი იჩენდა მშევრმეტყველებასაც. აქ უნდა აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ მუშათა მოძრაობაში, რომელიაც მან შესწირა თავისი სიცოცხლე, იგი მუდამ სათავეში იდგა, როგორც პრაქტიკულათ, ისე თეორეტიულათც. სამწუხაროთ, მაშინდელი პრალები ხელს უშლიდენ მისი ნიჭის გამოაშეარავებას ლეგალურ პრესაში, სამაგიროთ, როცა გარემოება ნებას აძლევდა, იგი საუკხოოთ სარგებლობდა არალეგალურით. მაგრამ კიდევ უფრო ძლიერი იყო მისი გავლენა ზეპირ, სიტყვიერ, პრაპაგანდის დროს.

ამნაირათ, თუმც მეტათ ხანმოკლე იყო ალ. წულუკიძის მოღვაწეობა, მაგრამ მან წაუშლელი კალი დასტოვა არა მარტო ქართველი, არამედ მთელი მრავალეროვანი კავკასიის პროლეტარიატის მოძრაობის ისტორიაში. აქ მას მუდამ საპატიო ადგილი ექნება დათმობილი.

დასასრულ, ვსარგებლობ-რა ალ. წულუკიძის გარდაცვალების შემდეგ 5 წლის შესრულებით, არ შემიძლია მისი მახლობელი მეგობრების ყურადღება არ მივაჭიო.

შემდეგ გარემოებას: განსვენებულს დარჩა დაუბეჭდავი ხელნაწერი. მიუხედავათ იმისა, რომ მრავალ ადგილებს იქ დღეს უფრო ისტორიული მნიშვნელობა იქნება, იგი მაინც უნდა გამოიცეს ან ცალკე, ან სხვა მის ნაწერებთან ერთათ. ეს არის ჩვენი პირდაპირი მოვალეობა და ამის გადადება დღეს შეუძლებლათ მიმაჩნია.

ღ. მ-ბ.

## შინაური მიმოხილვა.

კიდევ ნიალვარი, კიდევ მსხვერპლი, კიდევ ქონებრივი განადგურება და კიდევ სრული უიმედობა ხეალი-სათვის! შველა არსაიდან არის; თვით მცხოვრებნი მოკლებულნი არიან ყოველგვარ ორგანიზაციას, ის მხოლოდ „ობივატელი“, და არა მოქალაქე და რა გასაკვირალია, რომ ვერაფერი მოაწყოს თავის საშველათ. ერთათ-ერთი დაწესებულება, რომელიც უნდა ზრუნავდეს მცხოვრებლების დაცვაზე, რომელიაც ასე თუ ისე საზოგადოებრივი ხანიათი აქვს, ქალაქის გამგეობა, ამ საგანზე შეტანილი შეკითხვის პასუხათ აცხადებს: პარიზიც იცის წყალ-დიდობა და ასე გასინჯეთ, ჩვენც კი გაუგზავნეთ დახმარება პარიზელებსო.

ამ განცხადებამ ჩვენზე ძალიან ცუდი შაბეჭდილება მოახდინა. ეს ნიშნავს მას, რომ ქალაქის გამგეობას თავის გასამართლებელი საბუთი მოუნახავს, და ხომ მოგეხსენებათ, თუ კაცმა თვის გამართლება მოახერხს, ის ყოველთვის ნაკლებ ენერგიას გამოიჩნენ მოვალეობის შესრულებაში.

ჩვენ ვთქვათ და ვიმეორებთ, რომ უკანასკნელი დროის უბედურებებში სტრიქიონი დიდ როლს თამაშობს, მაგრამ ეს ვერ გაანთავისუფლებს ქალაქის თვათმართველობის ორგანოებს პასუხისებისგან მცხოვრებთა წინაშე. ქალაქს, როგორც იურიდიულ პირს, შეუძლია პასუხის გება აიცილოს სასამართლოს წესით, მაგრამ ზეობრივათ იგი მოვალეა მცხოვრებლების წინაშე ბევრი უქალურებისათვის, და ვალდებულია ყოველი ღონე მიიღოს ღარიბ-ღარისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებაში და ორივე საქმის მოგვარებას ერთათ უნდა შესდგომოდა. სამწუხაროთ, ვერც ერთს ამას ვერ ვხედავთ ჯერ,

მართალია, რაღაც ტეხნიკური კომისია კიდევ შესდგომია აღვილობრივ საქმის შესწავლას, მაგრამ ჩვენ შესი გვეპარება, ვაი თუ წვიმების შეწყვეტის შემდეგ მიივიწყონ სრულიად საქმე. ჩვენ ეკვს საფუძველს აძლევს ის გარემოება, რომ წინა წლებშიც მომხდარა ასეთი უბედურებანი და შემდეგ ისევ მიუვიწყებიათ.

ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა თვით მცხოვრებლება მოკიდონ ხელი საქმეს ენერგიულათ, მოითხოვონ საქმის მოგვარება, როგორც გავეგობისა და საბჭოსაგან, ისე კერძოთ თავისი არჩეული ხმოსნებისაგან; ეცადონ,

გააბათილონ პარიზის მაგალითი, დაუმტკიცონ გამგეობას, რომ ბევრში მისი ღაუდევრობაც არის მიზეზი; მიუ-ოთონ იმ აღილებზე, რომელიც უმთავრესად ქალაქის თვითმართველობის ორგანოების უყურადღებობით არის განადგურებული და სხვა.

ამ გზას უკვე აღგაბა ერთი ჯგუფი მცხოვრებლები-  
სა, რომელთა მოთხოვნით შაბათს, 5 ივნისს, უკვე უეს-  
დგა ხელისანთა ჯგუფის თათბირი. სასურველია ამ გზას  
დაადგენ სხვებიც; პირდაპირი და მჭიდრო კავშირი დაი-  
კირონ იმ ხმოსნებთან, რომელთაგან მოსალოდნელია  
საზოგადო, წრერესებზე ზურნვა და წააქეზონ კიდეც სა-  
მუშაოთ. ასეთი კავშირი დიდი რამ არის, იგი მოაგო-  
ნებს არჩეულთ მიღებულ მოქალაქობას, ხოლო ვისაც  
ახსოეს, მათ ენერგიას გააორკუცებს და გვეონია, დღეს  
ამ პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა საქმისოვის სასარგებ-  
ლო იქნება.

ზარალის რაოდენობის გაშოსარკვევათ და საჭირო დახმარების აღმოჩნაში დასახმარებლათ, ჩვენი აზრით, სასურველია განსაკუთრებული კომიტის შედგენა, რომელშიც თვით მცხოვრებლებიც, დაზარალებულებიც უნდა შევიდენ.

ასეთ კომისიას, სხვა არა იყოს ო, შეუძლია მცხოვ-  
რებელთა და ქალაქის წარმომადგენელთა შორის მუდმი-  
ვი კავშირი გააძას და პირველთა გაულენა გააძლიეროს  
მეორეებზე...

ამ საერთო მოვალეობასთან ერთათ გვიჩდა მოვა-  
გონოთ ქალაქის ოვითმარტველობას ის მოვალეობაც,  
რომელზედაც დღეისაწორს მუკახესენებით

1908 წლის 4 ოქტომბერის, ს.ხელოსნოებში მოსამ-  
სახურეთა დასვენების წესების მიღებისათანავე საბჭო  
დადგინა: 1) დავალოს ქალაქის გამგეობა!, წარმოუდ-  
გინოს საბჭოს სახელოსნო ინსპექციის შემოღების პროექ-  
ტი ხსენებულ წესების აღსრულების ყურის საგდებათ და  
2) გადაეცეს სამოსწავლო კომისიას კითხვა სახელოსნო-  
ებში მცირე წლოვან მოსამსახურეთაოვის სასწავლებლების  
მოწყობას შესახებ.

არც ერთ კითხვაზე დღემდე არაფერია გაკეთებული,  
თუკი უკვე მესამე წელში გადაიდებით ჩას შესდეგ.

რო მ სი მიერწყება დიდ დანაშაულათ უნდა ჩაეთ-  
ვალოს ქლაქის თეითმართველობას, და თუ ამ მცირე-  
წლოვნებმა თავისუფალი დრო ცუდათ მოიხმარეს, თუ  
იგი მარტო ცუდაობაში გაატარეს, მათ წინაშე ზნეობრი-  
ვი პასუხისმგება ქალაქის თვიომ: რთველობას და პირველ-  
ყოვლისა გამგეობას დაედება.

საქმის მოწყობა კი არც ისე საძნელოა, რადგან  
ქალაქს აქვს თავისი შკოლები, რომელთა საღომების  
გამოყენება შესაძლებელია ამ საქმისათვის. საჭიროა მხო-  
ლოდ პედაგოგიურ პერსონალზე საჭირო ხარჯის  
გაღება, რასაც ჩვენ, სრული დარწმუნებული ვართ,  
გაუძლებს ქალაქის კასას, რომელიც უფრო მეტს, უფრო  
ნაკლებ საჭირო ხარჯებსაც უძლებს. საჭიროა მხოლოდ  
დადგენილების განხორციელების სურვილი, და თუ გუ-  
ლი გულობს, ქადა ორივე ხელით იქმნება...

ବ୍ୟାଖ୍ୟା

ნორმალური დასვენება და კოოპერა-  
ციული სასაღილოები.

ეს გარემოება არც იმათ უნდა დაივიწყონ, ვისაც  
სწამეს, რომ კანონმდებლობით შრომის დაცვას მოლოდ  
მაშინ მოაქვს სარგებლობა, როცა ოფიციალურ კანო-  
მდებლობასთან ერთათ გასსის თვითმოქმედებასაც აქვს  
აღილი. ამ შემთხვევაში ესაც სურს ისარგებლოს  
სავაჭრო-სამრეწველოებში მომუშავეთა „ნორმალური და-  
სვენებით“, უნდა იზრუნოს კოოპერატიული სასადილოს  
დაარსებაზე. ასეთ სასადილოებებში მშრომელთ უნდა ექ-  
ლეოდეს იაფი და ნოყიერი სანოვავე. ასეთ სასადილო-  
ებში უნდა შექმნან ისეთი პირობები, რომლებიც ხელს  
შეუწყობენ მართლაც და გონივრულ დასვენებას. მაგ.  
სასადილოსთან უნდა მოეწყოს სამკითხველო და სხვა.  
ასეთმა სასადილომ უნდა ებრძოლოს ნოქრებში გავრცე-  
ლებულ ბოროტებას — ლოოთობას. იქნება ზოგიერთი ასე-  
თი სასადილოს გახსნისათვეს საჭირო ნებართვის შეკრის  
სიძლიერებში შეაშინოს და მაზე უარი ათქმევის? ასეთი სა-  
ბუთი სრულიად უადგილოა. ჩვენ ხელთა გვაქვს ორა წლის  
განმავლობაში სხვა და სხვა კანცელარიებში ნათრევი და  
ბოლოს აღმინისტრაციის მიერ დამტკიცებული წესდება  
კოოპერატიული სასადილოსი. უნდა ვისარგებლოთ ამ  
ნებართვათ და საჭირო ზომებიც მიკილოთ. აქვე მეტი არ  
იქნება გავაცნოთ მკითხველს ის ძირითადი საფუძვლები,  
რომლებზედაც აშენებულია ეს წესდება „ქ. ოფილისის  
ნოქრების კოოპერატიულ სასადილოს საზოგადოებისა“.  
პირველ ყოვლისა ეს არ არის საკუთრებული დაწესებულე-  
ბა. პატის რიცხვი განუსაზღვრელია და პაის შექმნეთ  
შეუძლია იყოს ყოველი მსურველი ნოჭარი. პაი ღრას  
სულ ს მანეთი, რომლის შეტანა შეიძლება ნაწილ-  
ნაწილათ, ერთი თვის განმავლობაში — ასეთი პირობები  
ხელს უწყობს, კოოპერატივი ყველასათვეს ხელმისაწილი  
გახდეს. ამ დემოკრატიულ ნიადაგზე აშენებულ კოოპე-  
რატივში პაის პატრანთ ხვა ეძლევა არა ნაყიდ პატის  
რიცხვის მიხედვით, არამედ ყველას თანასწორათ თათო  
ხნა.

ამ რიგათ, საზოგადოება, რომელსაც მიზნათ არ აქვს  
სხვის ხარჯზე გამდიდრება, არ გაყიდის სამჯერ უფრო  
ძვირია სანოვავეს, როგორც ამას კერძო პირები შევრე-  
ბიან. თანახმათ წესდების მ-42 მუხლისა, სანოვავე გაი-  
ყიდება პირვანდელ ფასზე  $\frac{1}{2}$ %, დამატებით და მოელი  
წმინდა შემოსავალი განაწილდება შემდეგ ნაირათ:  $40\%$ /  
წარმოების გასაფართოებლათ და ვალების გასასწორებ-  
ლათ გადაიდება,  $40\%$ / სათადარიგო თანხაში და  $20\%$ /  
მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. აი დამა-  
ხასიათებელი თვისებები „ქ. ოფილისის ნოქრების კოო-  
პერატიულ სასადილოს საზოგადოებისა!“ რა თქმა უნდა  
კოოპერატიული საზოგადოება, რომელიც მიზნათ ისა-  
ხავს ნოქრებს მიაწოდოს საფუძველი და კეთილ-ხარის-  
ხოვანი სანოვავე, ვერ გადაჭრის სოციალურ კითხვებს.  
ეს მართალია, მაგრამ ამავე დროს ცხადია ისიც, რომ  
კოოპერატივი ადვილათ კურნავს კაპიტალისტურ კოლოთა  
ნაეპენს, რომელიც ძირს უთხრის პროლეტარისას ისე-  
დაც ხან-მოკლე სიცოცხლეს.

Викторъ

## მ ც ი რ ე მ ე ნ ი შ ვ ნ ა.

მკითხველს ეხსომება ბ-ნ ე. გომართელის უკანა-  
კნელ ლექციის გამო „ჩვენ გაზეთ“-სა და „მოგზაურში“  
დაბეჭდილი შენიშვნები.

იმედი გვაქვს, ისიც ეხსომება, რომ ბ. გომართელი  
ჩვეულებრივათ ასეთ შენიშვნებზე სიჩუმით უპასუხებდა  
ხოლმე.

მაგრამ ახლა ამ ჩვეულებას როგორდაც ულალატა  
და... „ოთატრი და ცხოვრება“-ს უკანასკნელ №-ში...  
ოხუნჯობა დაიწყო.

დიახ, ოხუნჯობს ბ. გომართელი, მაგრამ „შები  
ხალთაში მაინც არ იმაღება“ და მისი „ფიზიონომია“  
ამის შემდეგ მართლაც რომ სავსებით გამორკვეულია.

„მოგზაურში“ ბ. გომართელის წინააღმდეგ გარკვე-  
ვით იყო წამოყენებული შემთხვევი დებულებები: 1) კ. ორბელიანი დემოკრატია გამოიყვანა, 2) ყალბაგ შეა-  
დარა იგი მარქს-ენგელსა და სხვებს, 3) აღიარა, ყველა  
ბიუროკრატის რომ ვ. ორბელიანივით ყვარებოდა სამ-  
შობლო, საქართველო გაედნირდებოდა, 4) არ აღ-  
ნიშნა, რომ სხვა და სხვა კლას და წოდებას სამშობლო  
სხვა და სხვა ნაირათ ესმის და 5) საზოგადოება მოიწო-  
და ისეთ საზოგადოების სიყვარულისკენ, როგორსაც ეტრ-  
ფილია ვ. ორბელიანი, ე. ი. თავად-აზნაურულ სამშობ-  
ლოსაცენ.

ას ამბობს ბ. გომართელი ამ დებულებათა წინაა-  
ღმდეგ? იგი არც ერთს არ უარყოფს. პირიქით, ამაყობს  
კიდეც მითი და სამაგიეროთ აკეთებს რამდენიმე... მეტი  
რომ არა ვთქვათ, — არა საკადრის დასკვნებს. მაგალითთათ,  
თავის „პატარა ფელეტონში“ წილაც არქიმანდრიტ და-  
სითეოსს თავად რევაზთან ასე აღაპარაკებს:

— „ახლა, რევაზ, თამამა შევიძლა სთქა, რომ  
სამშობლო ფეხებზე გადას და თუ ვ ნებ გიკინა, ვით  
სერის ანი და ახალგაზდა გაყურებიებენ!..

ბ. გომართელმა კარგათ იცის, რომ „ანი და ახალ-  
გაზდა“ „სამშობლოს გამყადველ“ ცუცებსა და თავადებს  
არ უკრავენ კვერს თავიანთ წერილებში; მან კარგათ  
იცის, რომ წერილების საგანი იყო მისი ლექციის მთ-  
ვარი დებულებების განხილვა და გასალების გარკვევა;  
მან მშენიურათ იცის, რომ არც ერთი კვათა მყოფელი  
«რევაზი» და „დოსითეოსი“ არ „გადაკუცნის“ ანსა და  
ახალგაზდას მათი წერილებისთვის...

დიახ, ყოველივე ეს იცის ბ. გომართელმა და თუ  
მაინც განვებ ბევრ რამეს ამახინჯებს, მკითხველს უკუ-  
მა უჩენებს, — ამის მიზეზი კიდევ იმაში უნდა ვეძიოთ,  
რომ ის ცდილობს, ყოველ ნაბიჯზე ცდილობს „კეშა-  
რიტ მამული შეილობის“ დიპლომის მიღებას!..

რაც შეეხება „კურებს“, უნდა შევნიშნოთ, რომ ეს  
ძველი ამბავია. როცა კი უკიუნებდებ ბ. გომართელი  
ჩვენი მხრიდან რაიმე უკულმართობაზე, ის სადემაგოვი-  
ოთ მსწრეფლ ასეთ ხერხს იშველიებდა ხოლმე. ასე იყო,

მაგალითათ, 1905 წელს, როცა ის „მოგზაურიდან“ „ივერიაში“ გადაბარებდა; ასეა დღესაც, მხოლოდ მისი ლაპარაკი დღეს უფრო გაძელებულია, თუმცა სათანადო კი არა...

მაგრამ ეს არაუკრია! ჩქარა მოვცეშრებით ბ. გომარ-  
თელის „გამბედაობის“ გაძლიერებასაც!

„Чѣмъ дальше въ лѣсъ, тѣмъ больше дровъ!“

ეს ოქმულება ჯერ კიდევ 1905 წ. მოაგონა მაშინ-  
დელი „მოგზაური“-ს რედაქციაშ ბ-ნ გომართელს... ალ-  
ბათ განმათავისუფლებელ მოძრაობის გავლენით, მისი  
„ტყეში სვლა“ მაშინ შექრდა. დღეს კი, როგორც  
ვხდეთვი, ა' ეთი გავლენა არ არის.

ახალგაზრა

Р. С. „დამოუკიდებელ მიზეზთა“ მიერ შექმნილი უხერ-  
ხულობა გვაიძულებს, რომ ამ საგანზე უფრო ვრცლათ  
მაშინ მოვილაპარაკოთ, როცა ხელ-ახლა მოვეიძლება  
შეხედტრა ბ-ნ გომართელთან.

၁၂၅

## საქონელი დუა.

რთვორც მოსალადნელი იქ, დუმაშ მიაღთ. საბოლოოთ  
ფინლანდიის კანონშროექტი. ოპოზიციის სხდომიდან წასვლის  
შემდეგ კანონშროექტის გასხილვა უფრო დაჩქრდა. ოქტომ-  
ბის სტების საწილაშ სცადა ფინლანდიისათვის თავი შეგრბრათ  
მოეჩვენება და მეთეუ კითხვის დროს შეიტანა რამდენიმე შე-  
სწორება, სხვათა-შორის მოთხოვა შეფლის, კრებების და გაუ-  
შირების საკითხების ფინლანდიის სეიმის კომიტეტენციაში და-  
ტოვება.

မိမ်းကွော်ပျော် ဒုသမိန္ဒရာမြတ်စွာ လေလှ အောင် မိုး ပါဝါမြတ်စွာ  
အပေါ် အောင် ဖြော်ပြရေ ဝိမိုးကြ အမြှော် ဆီမံ့ ဘွဲ့များ ပိုးပိုးလွှာပြာ,  
လေမှ ဝြေား မာတဲ့ ဆီမံ့ ဂာဇာမိုးပျော်ပြာ မိုးမံ့ပျော်စွာ အက အိုး၊  
လေမှ အပေါ်စွာ မြတ်စွာလွှာပြာ အပေါ်စွာလွှာပြာ လေလှပျော်ပြာ ဆီမံ့  
အပေါ်စွာလွှာပြာ မိုးမံ့ပျော်စွာ အပေါ်စွာလွှာပြာ အပေါ်စွာလွှာပြာ အပေါ်စွာ

უმრავლესობას არ მოწოდეს ამასიდან გამოთი და თხოვ-  
ლობს კამათის შეტევებას. ჩაწერილ სამ თრატორს უძინებოთ  
ლაპარაკის ნების არ აძლევენ. უმასოფლიდ არიან ღქტოშიბრი-  
სტები და ნაციონალისტების ლიდერი კოუპერაცია. უკანასკნე-  
ლი სოხუმის მთავრობის წარმომადგენელს ილაპარაკოს, მემარ-  
ჯვებები პროტესტს ატარებენ მთავრობის წარმომადგენელთან

მძღვანელობის წინააღმდეგ. თავმჯდომარე ვაჟაპეტრი და  
ტევას არ აძლევს მთავრობის წარმომადგენელს. ერთი სიტუ-  
აცია, აირია მონასტერი! შეუდგენ ბენჭის ერას. ფქტობის-  
სტების ორაქცია აირია, ეთი ვხ ქცევ, ეთი იყ დიოვა. ერთმა-  
ნაწილმა თავზიციის მაგალითს მიძახა და დარბაზიდან გარეთ  
გაყიდა, მეორე ნაწილი დარბაზში დარჩა და კინჭის ურაში მო-  
საწილება არ მიუღია. მესამე ნაწილმა წინააღმდეგ მისცა ხმა,  
უმრავლესობაში კი გუჩქოვის მეთაურობით ადასრულა თავისი  
შბრძნებელის სურვილი და ნაცილნალისტებთან და მემარჯვენ-  
ებთან ერთათ კანონ-პროექტს მისცა ხმა. თითქმის უველა შე-  
სწორებები ურჩოფილი იქნა.

კანონ-პროექტის მიღება შოულოდნეფს არავერს წარმო-  
ადგენდა და ამიტომ აღორთოვანებაც არა გამოჟღვევია. მხო-  
ლოთ შერჩევებიშია წარმოისხა გულაბჭდილათ: აღსრულდა ფინ-  
დაციანდიათ.

საბოლოოთვე მიიღო დუმაშ დასავლეთ გუბერნიის ში ერთ-ბის კანონშროებით. დიდი არქე-დარება გამოიწვია უკარატვის შესწორებამ, რომელის ძალით საცემონიან და სამზრი ხმა-ნების ნახევრას უნდა შეადგენდენ გლეხები. ბურიშეების უტრი-ფრათ უჩნაა გლეხებს, თავის საკეთოლდღეო შესწორების წინააღმდეგ მიეცათ ხმა, რადგან თუ ერთპაში რუსი გლეხები უმრავლესობაში იქნენ, ერთბა ჰოლონებებს ჩაუვარდებათ ხელ-შია. შესწორების წინააღმდება 147, მომხრე 146. ოქტომ-ბრისტები შეშინდენ, დაუწეუს მუდარა თავის ამხანაგებს, არ ედალატათ პარტიული დისტინციისათვის. ხმების სწორეთ და-სათვლელათ შესწორების მომხრეები გავიდენ მარცხენა კარათ, წინააღმდეგნი მარჯვენა კარით. მემარცხენე გლეხი დაუკით და-დგა მარჯვენა კარის ახლო და დაიწყო იმ გლეხების ჩაწერა, ვინც გლეხების უფლების გაფართოების წინააღმდეგ აღდგენე ხმას. ლუკის შემოხვიდენ მემარჯვენები და ოქტომბრისტები, მასგე მიეშველენ კადეტები. უკანა რიგებში სასაცილო სცენებია დატრიალდა, მემარჯვენე გლეხები შედგინ და ადარ იცოდებნ საით წასულიყვენ. მარცხენა კარისგნ წასულის თავისიანების სათრით თუ შიშით ვერ ბედავდენ, მარჯვით კიდევ დაუკანას ერიდებოდენ. მემარჯვენები ცდილობენ მათ დაშვიდებას, და როცა სიტყვით ვერას გახდენ, ხელით გაიყვანეს მარჯვენა კარ-ში. შესწორება უარესეს 153 ხმით 142 წინააღმდეგ. უმარჯ-ვესობაში მისცა ხმა 14 გლეხმა. უარესეს აგრეთვე სხვა შესწორებიც და უცელელათ დასტროვეს ბირეველ და მეორე კი თხვის დროს მიღებული მუხლი, რომელის ძალით ებრაელების არ ეძღვებათ ასჩენებში ხმის უფლება. იმ მეხლის კარტების დროს კადეტებში ხან ლანდდეს ცენტრი და მემარჯვენები, ხა-მათ ინდის შიმართეს, მაგრამ მათ თავის თავს არ უდაბულ-ტეს. ებრაელების წარადმდეგ მუხლი მიღებულ იქნა 171 ხმით

2 ივნისს სადამოს სხდომაზე გაგრძელდა კაშთი ვაატკის გუბერნიაში აღმინისტრის მიერ გლეხების დაბეჭდა-დწილა გების შესხებ დარჩენილი გადასახლების აკრეფის დროს. ამ შეკითხვის გარჩევას მთანდომეს უკვე სამი სხდომა. შეკითხვის ავტორები ფაქტებით ამტკიცებენ, რომ აღმინისტრაცია უყიდდა უკანასკნელ სარჩა-საბადებელს გლეხებს, სცემდა და ასახისრებდა მათ. მთავრობის წარმომადგენელი თავს იმითა იმართვებდა, რომ გლეხები გადასახადების არ იხდადენ იმიტომ, რომ არ უნდა გადახდა, თუმცა ფულა ბევრი აქვთ. ამასთან შემთხვევაში თითო თრთლა გლეხის ცემა-ტექნიკა აუცილებელიათ. საერთო გელთაო ცემა-ტექნიკა რომ არ უფლისა, ეს იქნას მტკაცდება, რომ ადგილობრივ მთავრობის მოქალაქის წინააღმდეგ არა ვთარი „დანისები“ არ შეუდია აღმინისტრაციაზე. შეკითხვის ავტორები თხოვულობენ საქმის გამოძიებას.

მთავრობის ამინისტრი უტითარმა განმარტებაში დუშის უმრავლესობაც კი ვერ დააპატიოლა. მართალია, დუშამ უარეს გუცხელობის ფორმულა, რომ მთავრობის განმარტებაში ვერ დააპატიოლა დუშამ, მაგრამ მაინც მიიღო თავი. გურაკინის ფორმულა, რომ აღმინისტრატიულმა გამოძიებაში საჭირო ვერ გამოდირება საქმე და სასურველოთ ცნობილ იქნა სამისამართლო გამოძიება.

დაზიანებული შეკითხვა შეიტანა დუშამი შინაგან საქმეთა მინისტრისადმი უსთ-ცილმში (არსანგელის გუბერნიაში) 12 გადასახლებულის ცემის შესხებ სტრაჟნიგების მიერ. დაზიანებული თხოვდობს, შეკითხვა საჩართო იცნოს.

მინისტრთა საბჭომ დაადგინა, დუშამი შეიტანოს გუცხობის მინისტრის კანონ-პროექტი საფაქტო დაწესებულებების მოშევეთა დაქირავების შესხებ.

დუშამ მიიღო შეკითხვა თდესის გრადონისალინგის ტალა გების უპანონო განგარეულების შესხებ ქადაქის საბჭოს არჩევნების დროს 1909 წ. და უარეს შეკითხვის ის ნაწილი, რომელიც იმავე ტრადიტიული უპანონო განგარეულების შეხებ დოდა სახელმწიფო დუშამის არჩევნების დროს.

დუშამ მიიღო შეკითხვა თდესის გენერალ-გუბერნატორის უპანონო მოქმედების შესხებ, რომელმაც თდესის უნივერსიტეტის 4 პროფესიონალის აუგრძალა მათი მოვალეობის ერთი ნაწილის ასრულება.

შეკითხვა ცამირში გადასახლებულთა შორის ტიფის გაუცელების შესხებ დუშამ უარეს, მაგრამ სურვილი გამოსთვევა, რაგან ციმირში, საქართველო საქმე, როგორც გადასახლებულთა, აკრეფე ბინადართა შორის ვერ არის კარგათ დაექნებული, მის მოსაგარებლათ შემოდებულ იქნეს ციმირში ერთად.

დუშამ მიიღო შეკითხვა იარასადების ცამეში უარულის მიერ ბავშვის დაწერის შესხებ. მიიღო აგრეთვე ბევრი სხვა შეკითხვებიც.

საზოგადოთ, ტერობრისტების ჩვეულებათ ქონდათ, სასაფულო არდადებების წინ გამოქვინათ დამოუკიდებლობა, „ორთ

ზაცილებულობა“, რომ უფრო შირიათლათ სხვეულებდნენ ამორჩებულების. ასლაც ასე იქცევან. უკანას გუცხელი უფრესი მათგებების მთელი თავისი წარსული „შოდვასწევად“. მითა უნდა აიხსნას ის გარემობა, რომ ასე ადვილათ აღმუნ შესაბამის თხების, რომლის გარჩევა შემდეგისთვის იდება. მითა არც არ მთავრობას აკლება რამე და ამორჩებულების უფრესი საცილებელი შესძლებენ.

## საზღვარგარეთი.

უნგრეთის მთავრობა გამარჯვებას დღესასწაულობს. ოპოზიცია არჩევნების დროს სასტრიკა დამარცხდა. კარგა ხანია, რაც მთავრობასა და რეისტრაცია შეა გამწვავებული დამოკიდებულება არსებობდა. აკტრო-უნგრეთის მოხუცმა იშპერატორმა ფრანც იოსებმა გასულ წლის დაწლევს რამდენჯერმე სცადა დამოუკიდებლობის პარტიის მიხრობა, პირადათ მოელაპარაკა მის ლიდერებს, მაგრამ შეთანხმება არ მოხერხდა. შეზღევ მოიწვია გრაფ-კუენ-ჰედერვარი, რომლის კაბინეტშიც პარლამენტიან მეშაბა ვერ შესძლო, რადგან აშკარათ დაადგა ანტი-პარლამენტარულ გზას. საქმე იმითი გათავდა, რომ მთავრობამ პარლამენტი დაითხოვა და მალე ხელ-ახალი არჩევნები დაიწვია. არჩევნებმა სრული გამარჯვება არცუნა მთავრობის მომხრე ლიბერალურ პარტიას, რომელმაც ახლა „ნაციონალური მუშათა პარტია“ დაირქვა სახელათ. არჩევნების დროს ამ პარტიის თავის პროკრამაში ქანდა შეტანილი საყოველთაო საარჩევნო წესი.

პარტიის სახელწოდება და საყოველთაო საარჩევნო წესი თითქო იმის მომასწავებელია, რომ მთავრობა დემოკრატიულ ელემენტებზე ემყარება. ნამდვილათ, კუნედებულების მთავრობა იმდენათვე შორს არის დემოკრატიისგან, როგორც კა დედამიწიდან. „მუშათა პარტია“ იმიტამ ქვერა მთავრობის მომხრე პარტიას, რომ მას სურს პარლამენტი ნორმალურ კალაპოტში ჩაყენოს, მუშაობა შეაძლებიოს, ე. ი. მთავრობის მორჩილ დაწესებულებად გადააკციონს. სახელწოდება „ნაციონალური“ ნაკლებათ შეეფერება ამ პარტიას, რადგან ნამდვილი ნაციონალისტები დამოუკიდებლობის პარტიისთან არიან შეკედლებული.

რაც შეეხება საყოველთაო საარჩევნო წესს, მისი მუხედებები უნგრეთში არავან არ არის, არც მთავრობა და არც სხვა გაბატონებული პარტიები. მთავრობას თუ მაინც შეაგვის ის თავის პროგრამაში, იმითი მას სურს მცირები შეაშინოს.

დღევანდელი საარჩევნო წესით საარჩევნო უფლება აქვთ მცხოვრებთა არა უმტკეს 6%, ასე, რომ არჩევნები მონაწილეობის საშუალება ეძლევათ მხოლოდ გაბატონებულ კლასებს; მშრომელი მასა და წვრილ-ბურეული ელემენტები კი თითქო უუფლებოთ არიან დატოვებული. მცხოვრებთა დიდ ნაწილს შეადგინა.

5. 4736320  
31250000000

# რუსეთის ცხოვრება.

მაღიარები — 48%, გერმანელები შეადგენენ 10%, სლავები 27%, რუმინელები — 15%. ამნაირათ, მაღიარები შეადგენენ მცხოვრებთა ნახევარზე ნაკლებს, მაგრამ სამაგიეროთ მათ ხელშია ვაჭრობა-მრეწველობაც და მიწათ-მფლობელობაც. ორჩენები დღეს ვენგრიაში არის პარდაპირი და ღა. ამის გამო ქანებრივათ გაბატონებული მაღიარები ადვილათ იმარჯვებენ და დიდ უმრავლესობას პარლამენტში მაღიარები წარმოადგენენ. საყოველთაო საარჩევნო წესი კი მათ ბატუნობას მალე მოუდებს ბოლოს, მით უმეტეს, რომ მაღიარები მთელს ვენგრიაში არიან გაფანტული, და, ბევრ ადგილას, თუმცა მცხოვრებთა დიდ ნაწილს შეადგენენ, მანც მათი ხმები არჩევნების დროს უმნიშვნელოთ დაიკარგება, თუ საკუთარი კანდიდატი იყოლიეს. იმიტომ მაღიარები არ არიან საყოველთაო არჩევნების მომხრე და დღეს გაბატონებული მაგნატები ხდიან ხელში თავის კლასობრივი ინტერესების წილიალმდევ წავილოსუნ, რომ საყოველთაო არჩევნებისა-თვის მხარი და ეჭირათ!

იმპერატორის მთავრობა, თუმცა აღვილათ გასაგები  
მიზეზების გამო პრინციპიალური წინააღმდეგია საყველ-  
თაო აჩერენებისა, მაინც მოებლაუჭერა მას, როცა დამოუ-  
კიდებლობის პარტია მორჩილებიდან გამოდის.

დამოუკიდებლობის პარტია თხოულობს, რომ უნ-  
გრეთი სრულიად დამოუკიდებელი იყოს ავსტრიისაგან, უნგრეთს ქონდეს საკუთარი, სახელმწიფო ბანკი, საკუთა-  
რი ტამოჯნა, იყოს ტამოჯნა ავსტრიასა და უნგრეთს  
შუაც. არჩიის კითხვაც პარლამენტის კომპეტენციაში შე-  
დიოდეს. ამას არ ეთანხმება იმპერიატორის მთავრობა და  
ამის დატვირთვის ტრაიანის, ძალ შორის, ომი

უკანასკნელ არჩევნებზე გაიმარჯვა მთავრობამ. ეს ერთი მხრით აიხსნება იმ გარემოებით, რომ კუნძ-ჰედერ-ვარიმ არაფერი არ დატოვა, რომ გამარჯვება დარჩენა-და. მის განკარგულებაში იყო ასი ათასიანი არმია და ბლოკმათ ფულები. კუნძ-ჰედერვარი არ მოერიდა არც მოსყიდვას და არც ძალდატანებას, რამაც შესაფერი ნა-ყოფი გამოილო, რათგან არჩევნები თარული არ არის.

• მთავრობის გამარჯვებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ  
მაღიარი მიწათ-მფლობელები არ თანაუგრძნობდნ იყ. ტ.  
რიასა და ვენგრიას შორის ტამოჯნის დარსება, ადგან  
პური დღეს-დღეობით უმთავრესათ გააქვთ ავსტრიაში,  
ტამოჯნის დარსებას კი შეუძლია ცუდათ იმოქმედოს  
და შეამკიროს პურის გაზიდვა.

ებრაელებზე „ნადირობა.“ ას რამდენიმე წესის წინათ  
სმალენსკის გუბერნატორის განვარგულებით მაძებარ პილიცაის  
განვალების უფროსიმა გაგზავნა მაძებარი პილიცაის აგენტე-  
ბი სმალენსკის მაზრაში იმის გასაგებათ, ცხოვრიბენ თუ არა  
სოფლებში ისეთი ებრაელები, რომელთაც ცხოვრების ნება  
არა აქვთ?

სწავათ შორის უნდა ითქვას, რომ აგენტები ასეთი მაჩე-  
ბრძების დროს ბევრ ბორცომულებისაც ჩადიოდენ. მაგალი-  
თათ, სტაგანდან მასზერებთ ღულებს და სხ.

ჰალიციელებმა შათლაც ადმინისტრის ბეჭრი ისეთი, რო-  
მელთაც ცხოვრების ნება არ ქნია და ისინი ჩქარა უკვე „ჯან-  
დაბას“ გაგზავნეს.

15 მაისს კიდევ გადგზავნა მაქებარ შოლიციელთა რაზძი  
ელნისის მაზრაში, ხოლო 17 მაისს მთელი 200 მცხოვ-  
რებით დასხლებული კუთხე შეკრეს სტაჟინგებმა. დაწერ-  
ჩხერება. დატევებებს ათავსდე ებრაელი... მაგრამ ამ დროს რაზ-  
ძის შეთაურს შეატეაბინებს, რომ ბევრი ებრაელი მახლობელი  
ტექში იმაღლება. ტექს დაუყონებლივ შემთავრტექს ადას. გა-  
ისძა საყვაირის ხმა, ძახილი, ისროლეს რამდენჯერმე „შესაში-  
ნებლათაც“. სტაჟინგები გაითხენ ტექში და საღამოს უფრო რისს  
წარუდგინეს 60 დატევებული ებრაელი, უშეტესობა საჭარ-  
ებში მოსამსახურე ახალგაზღვდობა. ამან გამოიწვია ზოგიერთ  
ადაგას დაჭრობის შეჩრდას.

ამ სოფლიდან რაზმი შეთრე სოფელში გადავიდა. აქაც  
იგივე განშეორდა. დატუსაღეს 8 კაცი. დანარჩენებმა მიატო-  
ვეს დგოთას ასაბარა სარჩა-საბადებელი და შირველი მატარებე-  
ლით უშეველეს თავს.

ମାନ୍ଦେଖାର ଶତଳିରୁଗ୍ରେଣତା ପିତ୍ତେଣି କାହିଁଥିଲା ଏକାଗ୍ରେତ୍ତାରୁ ପାଞ୍ଚାଙ୍ଗିରୁ-  
ରୁ କାଢି କିମ୍ବା ମାନ୍ଦେଖାର ପିତ୍ତେଣିରୁ ପାଞ୍ଚାଙ୍ଗିରୁ କାହିଁଥିଲା ଏକାଗ୍ରେତ୍ତାରୁ

**შავ-რაზმელთა ბანაკში.** დიდ არეგულარევას განიცდის „ქეშმარიტ-რესთა კავშირი“. მთავარ საბჭოდან გამოვიდა ცნობილი ბოლოებარინოვას ქადა, რომელიც დიდად ფულებს სწორავდა კავშირს. მას გაეფა მამხინი. მარკოვს შექმნას უპირებენ რაღაც „ბენეფი“ ფულებისათვის. პროვინციალური განეთიღებები გზავნიან ფულებს მთავარ საბჭოში სხვადასხვა „ზეპაზებისთვის“; ფულიც იყარებება და არც გინმე რამეს უგზავნით. ერთი სიტყვით, „ასრა მონასტერია“, რომ იტევიან, ისეა მათი სამე.

## პლ. წულუპიძის ხსოვნას.

„იდეია გაიმარჯვებს!“

სად ოქრო ზომავს ნამუსს, უფლებას  
და ანგარება სინდისსა ფიცავს;  
ბორკილი ჰეკოცნის თავისუფლებას,  
და ბრალდებული სიმართლეს იცავს.

საღ ცოდვა მეფობს, ცოდვა განაგებს, --  
ეშაფოტია გონიერება;  
ხალხი შექმნილა მის ჰუნე-რახტი,  
ბრძა, უწყინარი ზომიერება...

იქ სდგას სამსხვერპლო, მწველი კოცონი,  
 „თავხედნო“, მხოლოდ თქვენ იცნობთ იმას;  
 ვერ დაუღინია გმირის ძეალები  
 ვერც სისხლის ცრემლებს, ვერც ცეცხლის წვამას.

და ვით გამოკრთის ცეცხლი ღველფზედა,  
ათბობს ფარულათ გაყინულ ძარღვებს,  
ეგრე რჩეულთა ხსოვნა ნათელი  
სევდასა სთრგუნავს იმედის წარმლებს.

...ის არ მოკვდება, ვინც იშვა მისთვის  
და ხალხთა შორის დაიღდა ბინა;  
მარადის სკოცებობს და ვით სიმბოლო  
ტანჯულთა რაზმებს მიუძლვის წინა.

დღეს თუმც უგბილი ხელი მსახვრალი  
სკარავს უკულმა ბედის ბაწარსა,  
ირგვლივ მოისმის მწარე სულის თქმა,  
არე მოუკავს კვნესას საზარსა,—

ମାଘରାମ ଧର୍ମ ମନ୍ଦିରରେ ଗାନ୍ଧିନ୍ଦେବିର  
ରୂପ ତାପଦେବିର ଶରୀରରେ ଲାଗିଥାଏଇ,  
କିମ୍ବା ଅଳମହାପରିଚ୍ୟନ୍ଦରେ ମାତ୍ରାଲାଭିତା ପାଇଁ  
ଶରୀରରେ ଉପଲେବ୍ଦିର ତନ୍ତ୍ର-ବାର୍ଷିକାବ୍ୟାପର.

### 3. ဖော်ပြန်ခွဲချေမှုပါ.

## ବୀଜିର ଦଣ୍ଡିଗାର.

(нр. „Съюз“ № 13).

— გრანდ-ოტელი?.. მანდ ხომ არ არის ჩამოშხტარი უფალი სოკოლოვი? სოკოლოვი, დიახ! პეტრე ივანეს-ძე... მანდ არის? (აკი ვიზიქრე!) გმაღლობთ, გმაღლობთ, ამ წუთში ეჭლით წამოვალ...

ილიკო განდა და თან კი სოკოლოვკუ აღმოაჩინა, ის ჩამოშეტარია „გრანდ-ოტელში“. მართალია, ამ ერთი წუთის წინათ სოკოლოვის არსებობა ილიკომ არ იცოდა, მაგრამ ახლა იცის. დიდი მადლობა დიასახლისს; რომ იმას კარში არ გამოეგდო ილიკო, ხომ ვერ გაიგებდა, რომ პეტრე ივანეს-ძე ს კოლოვრი არსებობს ქვეყანაზე და ამელიამ „გრანდ-ოტელში“ დაჭეს ათევს. დიდი მადლობა დიასახლისს. როცა ჩემი ნიველების გამოსასყიდათ მივალ, თუ დაპანება შეი ტუჩებში ვაკოცებ მას, ნიშნათ დიდი მადლობისა. ორ, რას ჩაიდენ ილიკო, როცა თავის ნივთების გამოსასყიდათ მივა. ის, დიასახლისი, მშდალი ქალია; მას ორი მდგმური, ნოკარი ყავს და ხან ერთის ოთახში ათევს ღამეს და ხან მეორის —სკიფა მას, მარტო წოლა არ შეუძლია, ეშინია. ქმარი თუ არის შინ, მა-შინ ქმართან სძინავს —ასეთი ქალია ის, მაგრამ ილიკო მაინც გაიაუხთის მას მარტობას... და მხიარული, შემ-

თბარი ილიკო მიაბიჯებს ქუჩაში. კიდევ შედის რომელი-  
ღაც სასტუმროში და ახლა პეტროვს დაეძებს, შემდეგში  
ივანოვს და ასე ერთხანს, მაგრამ სოკოლოვის მეტი კვერ-  
ვინ აღმოაჩინა ამერამ სასტუმროებში. უკვე პირველი  
სათო იწყება და დიდი ქალაქის ქუჩას ხალხი თხელდე-  
ბა. მხოლოდ პროსტიტუტკები რჩებიან ქუჩებზე, პრის-  
ტიტუტები და ილიკო. და უნდა ილიკოს მივიდეს აი, იმ  
ფანრის ძირში, აეყუდოს იქ და გრძნობიერათ, ხმა მაღ-  
ლა იძლევროს, იტიროს:

Бду ли ночью по улицѣ темной,  
Бури-ль заслушаюсь въ пасмурный день,  
Другъ беззащитныи ....

ეჭ, არ იცის ილიკომ სიმღერა, აქაშია მისი უბედულება... მაგრამ ზღაპრები იცის ილიკომ, ისეთი ზღაპრები, რომლებიც მართლა მოხდა. იყო და არა იყო რა, იყო ერთი დიდებული მეცნიერი. და ამ მეცნიერს ერთ-ხელ მოუკვდა პატია ბავშვი, რომელიც მას ძლიერ უყვარდა. და მოუკვდა ის, მაგრამ კუბოს საყიდელი ფული როდი ქინდა ამ დიდებულ მეცნიერს და კინაღაშ გაეჩრწია ოთახში მისი საბრალო ბავშვი, რომელიც, როცა ცოცხალი იყო, ეკიდებოდა ხოლმე თავის პატია ხელებით მამას-მეცნიერს თავის სქელსა და დიდ წვერში, უფათურებდა ხელებს ფართე, კეთილშობილ შებლზე. მოკვდა ის და დამარხვაც კი ვერ შეიძლო, კინაღამ ოთახში გაეხრწია ის. და ეს მეცნიერი იყო მარქსი. მტერი იყო ის დღევანდელი წესწყობილებისა, ის უთხრიდა მას საფლავს და ის, ასეთი შური იძია წესწყობილებამ ამ მისი უძლევი მტერის წინააღმდეგ. შურის ძეგბით იცნობება შურის მაძიებელი.. ჰო და ილიკოს კარგი კამპანია ყოლია, რა უჭირს ილიკოს? ილიკოს გულიდან სევდა ეყრება— დიდი კაცის გასაჭირის ისტორიაც გამაძლიერებელია. და ეცინება, ეცინება გულში ილიკოს, აღარ უნდა მას იტიროს ახლა. რა უჭირს მას—საწოლი არა აქვა! ამ დიდ ქალაქში, თორემ სხვა კველაფერი სხვისია ის, რა მდიდარია ის!.. და იცინის, იცინის ის გულში...

უკველაფერი უამბობ ილიკომ ამ ღამეს ერთ პროსტი-  
ტუტკას, რომელმაც მას მკლავში ხელი გამოსდევა. სიკა-  
ლით მოკვდა ქუჩის დედაკაცი, ერთი უწმინდურათ შეა-  
გინა ვიღაცას და ილიკო წაიყვანა თავის ბინაზე, სადაც  
იშან ისე დაიძინა, როგორც ბავშვმა დედის კალთაში.  
დილას კი, პირველათ და უკანასკნელათ აკოცა ამ მის  
დას, პროსტიტუტკას და სამუდამოთ გამოეშვიდობა...

აი, რა ბიჭია ის, ილიკო იაშვილი და ახლა კარცე-  
რით უნდათ შეაშინონ იგი... თქვენმა მზე!

— გაუმარჯოს კარცერს! ვაშა! ვაზა! დაჰკარით ტა-  
ში, ამხანაგებო, დაჰკარით ტაში!

—Не стучь, ты, сукинъ сынъ, а то сгноешь тамъ, не выпущу! Мѣшомъ я твою голову вѣжомъ разбью!

...მე ვიხმარე ხრიკი, გამოვტყუე ფერშალს სპირტი,  
შევაზავი ის წყლით და გადავყარი არაყა. მერე ყარცერ-

ში დამაუინეს, ახლა კი ვზივარ კარცერში და... და იცი რა?

მე ვუყვარვარ მას. მე კი არ ვიცი, ვინ არის ის. ამაში მე ღრმათ ვარ დარწმუნებული—მე იმას ვჯყვარვარ, ის მე მელოდება, უთვალავ ნაცნობებში, ქუჩებში მეძებს ის მე, მე კი აქ ვარ სატუსალოში და ახლა კარცერში ვზივარ. რომ გარეთ ვიყრო, ახლა ის მიპოვის მე და მერმე აღარ მომშორდება. ის სატუსალოს კარებთანაც მოდის, ინსტუქტით მოდის აქ, მაგრამ არ იცის მასი სახელი, ვინც მას უყვარს, ვისაც ის დაეძებს და ამიტომ არ უშვებენ მას ტუსალებთან, რომ ამოარჩიოს, ის, ვინც იმას ყველას ურჩევნია. მე ვუყვარვარ მას, მე ვუყვარვარ მას, ჩემ ძვირფასს და მისი სახელია კესანე. ხომ კარგი სახელია, მოგწონს?

კესანე ყვავილის სახელია. ერთხელ ერთი ყვავილი ვნახე მე ტყის განაპირის ფერდოზე და ძალიან მომეწონა ის. არ ვიცოდი მისი სახელი, მაგრამ ააშენა ღმერთი, გლეხმა მასწავლა.

— კესანე ქვია ამასო,—მითხრა მან.

ამას გარდა მე ვიცი, კიდევ ერთი ლექსი, მგონი ბაჩანას გამოთქმულია ის. ის იწყება ასე:

„მითხარ კესანე,

შენი კვნესა მე“...

შშვენიერი ყვავილია კესანე და მშვენიერია ეს ლექსი, მაგრამ ჩემი კესანე, რომელსაც მე ვუყვარვარ, ის ყველაზე უკეთესია. ის მუდამ ჩემზე ფიქრობს, მე მელოდება... აი, ახლაც ის ბუნლოვანაა გრძნობს, რომ ვიღუას, რომელიც მას უყვარს, უჭირს რაღაცა და მას სევდა ეპარება გულში, ის სწუხს, სახეზე ეტყობა, რომ სწუხს და ეკითხება მას ვინზე, რომელსაც სურს წამართვას მე ჩემი კესანე:

— რათ მოგიწყენიათ?

ის უარს ამბობს, სრულიადაც მოწყენილი არ არის ის, ვინ სთქვა?.. ნუ, ნუ უარობ კესანე, სთქვი, რომ მოწყენილი ხარ. სთქვი, თორემ მე ვიტყვი! შენ მოწყენილი ხარ, შენ სევდიანი ხარ და ეს ჩე, მე ვარ შენი სევდის მიზეზი, ქალიშვილო, მე ვარ მე, მე!.. მე, ტუსალი ილიკო იაშვილი, რომელიც ახლა კარცერში ზის. როცა შენ მოგელანდება ვაჟკაცი, რომელიც შენ დაგეძებს, რომელიც შენვის არაფერს არ დაზოგავს, რომელიც შენზე ფიქრობს და რომელსაც შენ უყვარხარ, როცა შენ მოგელანდოს ასეთი ვაჟკაცი, იცოდე, ქალიშვილო, რომ ეს მე ვარ, ტუსალი ილიკო იაშვილი. და შენ მოდა ჩემთან, მოდი სატუსალოს კარებთან და იყოთხე:

— სად არის ის, ვისაც მე ყველაფერს ურჩევნივარ? მანახეთ ის, ვინც ყველას მირჩევნა! და თუ უარი გოთხება, ნუ მოშორდები კარებს, იცადე... გავიგებ მე და მოვახერხებ გნახო—დამინახავ მე, შენს მიყვარულს, შენს მოტრფიალეს... შენ ჩემი და ხარ, ჩემი მკვიდრი და ხარ, ჩემო კესანე!

მე არ ვიცი სიმღერა, თორემ ვიმღერებ ახლა, ვიძერებ იმის შესახებ, თუ როგორ მიყვარხარ შენ, თუ

როგორ მენატრები. მე არ ვიცა ლექსების წერა, თორემ... მაგრამ მიღი ვცდი, იქნებ გამოვთქვა. და ვფიქრდი.

კოკობი ვარდი, ფერ მიხდილი, ნაზი შროშანი, ფართე მინდორზე ამოკრილი, ბალახი მწვანე, ერთათ შევკონე თაიგულათ და მოგიტანე, ჩემო კესანე!

არა, მე ვერ ვარ პოეტი. თორემ მე ვიცი რას გეტყოდი შენ...

— გაუმარჯოს სიყვარული!

მე მიხარია და ამ სიხარულის ნიშნათ წიხლს ვცემ კარცერის კარებს—ბუხ! ბუხ! დღეს ჩემი სიყვარულის დაბადების დღე და რაღვანაც მეფეა ჩემი სიყვარული, ამიტომ ას ერთჯერ უნდა მივარტყა წიხლი კარებს, სალიუტი უნდა ვუძღვნა მას.

— ბუხ! ბუხ! ბუხ! ბუხ! ვითვლი მე, თან კი ვცემ წიხლს.

— გაუმარჯოს სიყვარული! ბუხ! ბუხ!

გაუმარჯოს სიყვარული! ბუხ! ბუხ! ბუხ! ბუხ!

.. აქვს ჰეინეს ერთი შესანიშნავი „ლექსი პროზათ“. დავხუჭე თვალები და წარმოვიდგანე, თითქო ის ლექსი მედვის წინ—ვკითხულობ მას და ვთარგმნი. ვთარგმნი, ვიზეპირებ და მერმე ვიმეორებ იმას ზეპირათ—ჯერ კიდევ ვერ გამომილაყა ტავინი და მებსიერება სატუსალოამ. ვიმეორებ იმას ზეპირათ და შენ გიძღვნი მას, ჩემო კესანე!

ღრმათ წარბ მოხრილი, დედამიწას ეწვია შწუხრი. ველურათ ჩბოდენ მრისხანე ზღვის შავი ტალღები.

მე კი ვიჯექი ზღვის ნაპირას და დავცექეროდი ტალღათა ბრძოლას, იმათ თამაშს შეუღარებელს...

ვით ზეირთნი ზღვისა, ათამაშდა გულიც ჩემ მკერდში, სევდამ ძლიერმა შემიბოჭა, შეიპყრო სული...

შენი ბრალია, შვენიერო, შენი, რომელიც თვალწინ მიდგინარ მაწამებლით და სატანჯველათ..

თვალწინ მიდგინარ, ვერ გიშორებ მე ვერასოდეს. შენი ხმა მესმის, ზღვა ღელავს, თუ ქარი ლრიალებს, შენი ხმა მესმის, როცა კვნესის ეს ჩემი გული.

ჯოხით დავწერე ზღვის ნაპირას, სპეტაკ სილაზე:

„ჩემო კესანე, მე მიყვარხარ შენ!“

მაგრამ მოწევდა მას ზღვის ნასროლი ტალღა ბრძოლი, მსწრაფლათ წაშალი ის, რაც გულში ვერ წამიშლია.

სუსტია ჯოხი; სილაც ჩეარა იშლება-იფშვნება, უნდო არიან ზღვის ტალღებიც, ვერ ვენდობი მათ!..

უფრო ბნელდება და ჩემ გულშიც სევდა მატულობს...

ხელით ძლიერით, ულრან ტყეში ნორვეგისა, მე ამოვგლიჯე ანოვანი, ტანადი ნაძვი და შთავაწე ის ცეცხლ-მოდებულ ეტნის გულ-მკერდში. და იმ კალამით ანთებულით, უზარმაზარით, მე დავაწერე შავი ზეცის შავ კამარაზე:

„ჩემო კესანე, მე მიყვარხარ შენ!“

მას შემდეგ არის, დაღამდება თუ არა, კაში  
ნაზ ვარსკვლავებათ ციმტიმებენ ცეცხლის სიტყვები.  
და კითხულობს მას, ჩემს დანაწერს, კაცობრიობა:

„ჩემო კესანე, მე მიყვარხარ შენ!“  
— გაუმარჯოს სიყვარულს — ბუხ! ბუხ!

ი, აგრე უნდა. და კიდევ მივარტყი კარებს წიხლი...  
ჰეინემ ეს ლექსი უძლვნა აგნესას.

— Agnes, ich liebe dich! სწერს იგი.  
მე კი შენ გიძლვენი — ჩემო კესანე, მე მიყვარხარ  
შენ!

— გაუმარჯოს სიყვარულს! ბუხ! ბუხ!

შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს ლექსი იმ-  
დერება და იმდერება შხოლლოდ „вніз по матушкі, по Вол-  
ті“-ს ხმაზე. ჩემი მშვენიერი ხმით ვიმდერე კიდევ.

— გაუმარჯოს სიყვარულს! ბუხ! ბუხ!

დამეძინა. დამეძინა მანამ, სანამ კარები არ გამიღეს  
და კარში არ გამომაგლეს... თავი მტკიცოდა.

4. ეს წერილი მიერთვას ჩემს ამხანაგს საკუთარ ხელში.

... შითხარი, იმიტომ ხოვ არ ყარს ბაღლინჯო,  
რომ ადამიანის სისხლით იკვებება? ალპათ იმიტომ ყარს.  
ყველა, ვინც კი ადამიანს სწოვს სისხლს და მით იკვებე-  
ბა, ყველა ყარს, ყველას შმირის სუნი უდის. იმიტომ  
ყარს ბაღლინჯოც...

სპირტონ მცირიშვილი.

(შემდეგი იქნება)

## უ მ უ გ ე ვ რ თ ბ ა .

V

ჩვენ წინა წერილში ვილაპარაკეთ, თუ რა გავლენა  
აქვს უმუშევრობაზე წარმოების ტეხნიკის გაუმჯობესებას  
და ახალი მანქანების შემოღებას.

ასეთივე გავლენა აქვს უმუშევრთა გამრავლებაზე  
კაპიტალის კონცეტრაციას, ესე-იგი, მისი ბევრი მწარ-  
მოებლის ხელიდან რამდენიმე მწარმოებლის ხელში გადა-  
სვლას და მოგროვებას, ან წვრილი მწარმოებლებისა,  
ვაჭრებისა და მრეწველების გაკოტრებას.

მანქანის შემოღება წარმოებაში აფართოებს და აღი-  
დებს წარმოების სფერას. მაგრამ წარმოებაში ერთი და  
იგივე მანქანა დიდხანს როდი ჩემი. თითქმის ყოველ  
წელს ახალ-ახალ საუკეთესო მანქანებს იგონებენ. ეს ახა-  
ლი მანქანები, რა თქმა უნდა, ძველ, უწინდელ შემო-  
ღებულ მანქანებს სჯობს; ის უფრო მეტს, უკეთესსა და  
იაფ ნაწარმოებს იძლევა. მწარმოებელს, რომელსაც ძა-  
ლა შეწევს, ეს ახალი და ძვირფასი მანქანები შეიძინოს,  
შეუძლია უფრო მეტი საქონელი გაკეთოს და უფრო  
იაფათაც გაყიდოს; ამ ნაირათ, ის სჯის თავის მეტოქე  
წვრილ მწარმოებლებს, რომელთაც არ შეუძლიათ ამ ახა-  
ლი ძვირფასი მანქანების შექნა და ძველ წარმოების პი-

რობებში, უფრო ძველი და ჩამორჩენილი მანქანებით შუ-  
შაობენ...

ამ ნაირათ, მანქანა ხელს უწყობს მსხვილ კაპიტალს  
წვრილი კაპიტალის დამარცხებაში. მისი მეობებით წვრილი  
მწარმოებელი კოტრდება და იძულებული ხდება ბაზარზე  
ალაგი დაუთმოს თავის ბეღინირ მეტოქეს. ამას კი ყოველ-  
თვის შედეგათ მოსდევს უმუშევრთა რიცხვის გამრავლება.  
მანქანა ხელს უწყიაბს კაპიტალის კონცეტრაციას, ის  
ლუბავს და აკოტრებს წვრილ მწარმოებლებს, რომელთაც  
შეძლება არა აქვთ ახალი მანქანების შეძენისა, და მათ  
მაგიტ ამდიდრებს მსხვილ მწარმოებლებს. ეს მწარმოებელთა  
რიცხვის შემცირებას იწვევს: იკეტება ბევრი ქარხანა-ფა-  
ბრიკები და მათი მუშები მწარმოებლებთან ერთათ ამრავ-  
ლებენ უმუშევრთა ღიაშექას.

უწინდელ დროში, რაც ვაჭრობა-აღებ-მიცემობა  
უფრო შეიღუდული იყო, წვრილ მწარმოებელს  
თუ ვაჭარს, თუ კი ის ერთხელ მოიპოვებდა მყიდველის  
ნდობას რიგიანი საქონლის გაკეთება და გაყიდვით, იმე-  
დი უნდა ქონდა, რომ მას ისე აღვილათ ვერ მუუღებ-  
და ბოლოს კონცეტრაცია, აღვილათ ვერ გაუწევდა მე-  
ტოქებას მეორე მექანიზმენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ფოს-  
ტა-ტელეგრაფი შემოიღეს, ყველასთვის აღვილი შეიქნა  
გაეცნოს სხვის, შორეული მწარმოებელის ნაწარმოებს,  
გაიგოს მისი ფასები, ღირსება-ნაკლულევანება და სხვა...  
ათასი კომისიონერები, გაზეთების რეკლამები, რაც ასე  
გავრცელდა ხოლო ჩვენს დროში, უსპობს მრეწველობასა  
და აღებ-მიცემობას აღვილობრივ ხასიათს. ყველა ამან  
მთელი ქვეყნის წარმოება თითქმის მეტოქეთა ერთ დიდ  
სარბიელათ გადააჭია. ამრიგათ, იმ ბელინირ მწარმოე-  
ბელს, რომელსაც შეუძლია შეიძინოს ასიმე საწარმოო  
უპირატესობა, — სულ ერთია, ახალი მანქანა იქნება ის თუ  
ბაზარზე მოხერხებულათ გასაღება თავის ნაწარმოებისა, —  
სრული შეძლება აქვს მაღლე დაცულევის თავის მეტო-  
ქეებს ბაზარი და მათი ალაგი თვითონ დაიჭიროს. წარ-  
მოების ზოგიერთ დარგში, სადაც ჯერ კიდევ არ მოუპო-  
ვებია აღვილი მანქანას, წვრილ წარმოებას კიდევ შეუ-  
ძლია იბოგინოს. მაგრამ იქ, სადაც მანქანა გაბატონებუ-  
ლა, სადაც წარმოებას კოსმოპოლიტური ხასიათი მიუღია,  
იქ წვრილი წარმოება ვერ იხეირებს და წარმოების კონ-  
ცეტრაციაც თვალსაჩინოთ ხდება. \*)

ამრიგათ, კაპიტალის კონცეტრაცია, რომლის საფუ-  
ძველსაც წარმოების ტეხნიკის გაუმჯობესება და წარმოე-  
ბაში მანქანების შემოღება შეადგენს, აკოტრებს და სპონს  
წვრილმან მწარმოებლებსა და ვაჭრებს; აპროლეტარებს  
და უმუშევრთა რიცხვი აყენებს როგორც მათ, ისე იმ მუ-  
შებს, რომლებიც მათ წარმოებაში მუშაობდენ.

პ. გელიძშვილი

\*) იხ. გობსონი, „Пробл. бъдн. и безработици“, гл. 179.

# შერიღი თეირანიდან

III

(საკუთარი კორესპონდენციისაგან)

ამ რამდენიმე ხნის წინათ პრინცი დარაბ-მირზა ერთ ჩაქციონერთან ერთათ, რომელიც იმალებოდა რუსეთის მისიაში, 60 რუსი ყაზახის თანხლებით გაემართა ზანჯანში და იქ ამართა მთავრობის წინააღმდეგ აჯანყების დროში, რომლის დროსაც მთავრობის ჯართან შეტაკება მოუხდა. რუსეთის მასისიმ ამის გამო უპასუხა სპარსეთის მთავრობას, დარაბ-მირზა იქ სანალიროთ იყოვო. დღეს პრინცი დატყვევებულია რუსების მიერ.

ყველა ქს, რასაკეირველია, ზანჯანში რუსეთის ჯარის გაგზავნის საბაბია. დარაბ-მირზა ზანჯანიდან 14 ვერსის მანძილზე დაატყვევეს, მაგრამ რუსეთის ჯარი, მიუხედათ გუბერნატორის პროტესტისა, შევიდა ქალაქში და უნდა ვიფიქროთ, რომ არც გავა იქიდან. რუსეთის ჯარი სდგას აგრეთვე ზანჯანის გზაზე გამარანში და გერუსში.

ურმიაში რუსეთის სალდათება და აფიკრებმა... უწესოება მოახდინეს და თვით გუბერნატორსაც ხიშტებით დაემუქრება, ამავე დროს კი ქვეყანას დეპეშით აცნობეს, მართლ-მაღიდებლები საფრთხეში არიან და არც ისმალეთს და არც სპარსეთს ურმიაში მშვიდობიანობის აღდგენა არ შეუძლიათ და ამიტომ ინგლისისა და რუსეთის საქმეში ჩარევა აუცილებელიაოთ...

როცა ევროპიელები სიტყვიერ პროტესტს აუხდებენ ფინლიანდის პოლიტიკის წინააღმდეგ, რუსეთის მთავრობა ძლიერა სწყრება მათ შინაურ საქმეებში ჩარევის გამო, მაგრამ როცა კითხვა სპარსეთს ეხება, მაშინ თვით არის ამ ჩარევის მომხრე!

24 მაისს, ცნობილ რეაქციონერ სეიდ-აბდულამ, მუჯახიდების ყოფილმა მეთაურმა და სეპეხდარის დღევანდელმა შეგობარმა, რამდენიმე მის მომხრე ჩაქციონერთან ერთათ მოახდინა კრება. კრებაზე გამოვიდა ბაგირხანი, რომელმაც მოითხოვა მეჯლისიდან ხუთი მემარცხენე დეპუტატის გაძევება. ბაგირ-ხანი თავის სიტყვებში თვით არ აძლევდა ანგარიშს თავის თავს და ლაპარაკობდა მხოლოდ კრების მომწყობთა ჩაგონებით. ეს ვაჟატონები კარგათ ამჩნევენ თავიანთ მდგომარეობის გაუარესებას, რაც მოყვება სეპეხდარის მინისტრის თანამდებობიდან გადაყენებას. მისი გადაყენება კი ახლო მომავლის საქმეა.

მეჯლისის განსაკუთრებულ კომისიაში მინისტრთა კაბინეტმა განაცხადა, საქმის უკეთ წასაყენათ საჭიროა, რომ დღევანდელ პირობებში მინისტრებს ქონდეთ ზოგიერთი ზედმეტი უფლებებით. კომისია ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა. ეს გამოიწვევს ალბათ ქველი კაბინეტის გადადგომას.

ნილონი

# ეპონომიური ცერვების განვითარება.

VII

როგორც უკანასკნელ წერილში ვამბობდით, უკეთ გაცვლა-გამოცვლის აღორძინებიდან იწყება და ისახება ზედ-მეტ ლარებულების წარმოშობას ხანა, აქედან იწყება მისი განვითარება. კარჩაკეტილ მეურნეობის დროს პირველ-ყოფილი აღამიანი იგონებს საწარმოვო იარაღებს, რომლებიც დიდ სამსახურს უწევენ ამა თუ იმ მოსახმარ საგნების წარმოშობა-დასამუშავებლათ, ზედ-მეტ ლირებულების წარმოების ხანაში კი აღამიანი სწავლობს აღამიანის საწარმოვო მიზნით მოხმარას, მის საშუალებით საგნებას დამუშავებას. წინათ აღამიანი თითონ თავისთვის მუშაობდა, ახლა კი, ე. ი. ზედმეტ ლირებულების დამზადების დროს თავისთვის სხვას ამუშავებს. წინათ თავის საკუთარ ძალ-ღონეს გქსპლოატაციას უშვრებოდა, ახლა კი იგი სხვას, თავის მსგავს აღამიანს ყვლეფს, თავის სასარგებლოთ ამუშავებს. კარჩაკეტილ მეურნეობის ხანაში იგი იწყებს სახმარ საგნების ლირებულების მიხედვრას, მის შინაარსის გაგებას, ახლა კი იგნებს აღამიანის ძალის ლირებულებს. აქმდე ყოველი აღამიანი თავისთვის იყო ლირებულება და არა სხვისთვის; მას შეეძლო და ემზადე, ბინა მხოლოდ იმდენი სახმ.რი ლირებულებანი, რამდენიც კი დააკიაყოფილებდა მის და ოჯახის მოთხოვნილებას. ამიტომ, სხვისთვის იგი უფასო, ულირებულებო იყო, მის სამუშაო ძალას არ ქონებია ლირებულება. პირიქით, იგი მრავალ შემთხვევებში, ლირებულების მაგიეროვანისათვის მძიმე და მაზარალებელ ტვირთათ ითვლებოდა აღამიანის ასეთი ულირებულობა კულტურულ-ეკონომიურ-ისტორიულმა განვითარებამ მრავალგვარ ზნე-ჩე-ულება და რელიგიურ ფორმებში გამოხატა, რომლებსაც ჩვენ დღესაც კი გულუხვათ შევხდებით დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხებში. მაგ. აფრიკის ზოგიერთა კელურ თემებში ახლაც შევხდებით, რომ მცირე-წლოვან ყმაშვილების და მოხუცებულების მოკვლა, ძალით სიკოცხლის მოსპობა ერთგვარ რელიგიურ მოვალეობათ ითვლება. ავსტრალიაში დღემდის ბავშვების დაკოდვა და დამუჯადება ჩვეულებრივი მოვლენაა, ხშირად უპატრონოთ ცისქვეულოვებრივ და ამ გზით ასალმებენ წუთი სოფელებს. მაგრამ ესმთა ვითარებამ აღამიანზე ასეთი შეხედულება ერთიანა შესცვალა და არა ჩვეულებრივი ფასი დასდო მის სამუშაო ძალას. ერთი სიტყვით, აღამიანი ახლა ლირებულების ობიექტაზ (საგნათ) გადაიქცა. ამით დაწყო და ჩაისახა აღამიანის სამუშაო ძალის ექსპლოატაცია.

ზედმეტ წარმოების ფორმას პირველათ საფუძვლათ მონების მუშაობა დაედავა, მონობის პრინციპზე აშენდა მისი ციხე-სიმაგრე, აქედან იწყება მისი ისტორია. მონობის დროს მონების დიდი რიცხვი უცხო მოღვისანი იყვენ. ბარბაროსებობის ხანაში თითქმის ყველგან ერთგვარი ჩვეულება იყო გაბატონებული: ომის დროს, დამარცხებულის ფიზიკურათ სპობდენ და ჩვეულებრივ

საზრდოთ ხმარობდენ. მაგრამ ასეთი ჩვეულება უმაღვე უეკუპალა, როგორც კი პირველყოფილი ადამიანი მიხედა დამარცხებულის ეკონომიკურათ გამოყენებას, მის სამუშაო ძალის თავის სასარგებლოთ მოხმარას; გამარჯვებული დამარცხებულს ახლა საყვლეფ სამუშაო ძალათ აღიარებს. აქედან, ისპობა, რასაკირველია, დამორჩილებული და ომის ძროს ტყვეთ ჩავარდნილი ადამიანების დახოცვა და ბატონდება ეგრეთ-წოდებული მონაბის ინსტიტუცია, რომელიც ქველ ანტიკურ ქვეყნებში დიდ როლს თამაშობდა. ასე, პირველ-ყოფილ ხანაში ომი მთავარი და მეტად დიდ მნიშვნელოვანი წყარო იყო მონაბის ინსტიტუციის წარმოშობა-განვითარებისათვის.

მონაბის მეორე წყაროთ ეკონომიკურათ უმნიშვნელო პირების და ქურდ-ავაზაკების ძალით მონებათ გადაქცევაუნდა ჩაითვალოს. საბერძნეთის და რომაელების ცხოვრებიდან ძალიან ხშირი მაგალითები ვიცით, რომ სრულიად თავისუფალი ადამიანი გაჭირვების გამო იძულებული იყო თავისი თავი და ოჯახის რომელიმე წევრი სხვისთვის მონათ მიეყიდა; ნულარას ვიტყვით, რასაკირველია, ისეთ ზნე-ჩვეულებაზე, რომელიც მამა-კაცებს ხელს უწყობდა ცოლისა და შვილების ყმათ გაყიდვას, მათი ვაჭრობას. ცოლ-შვილით ვაჭრობა-ალებ-მიცემობა ძველათ ძალიან სარგებლიანი საქმე იყო. ველურებში და თვით ნახევრათ კულტურულ ხალხებშიაც დღესაც მამა-კაცი დიდი უფლებით სარგებლობს. თვითეულ ველურს შეუძლია თავისი ცოლი და შვილები როცა მოისურვებს გაყიდოს, თავიდან მოიშოროს. დღესაც აურიკის ზოგიერთა წვრილ ხალხებში დამნაშავის ამა თუ იმ დანაშაულის ვარის მონათ გადაქცევა ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ ნიადაგზე აღმოცენდა და განვითარდა ძველი მონაბის ინსტიტუცია.

მთელი ეკონომიკური სარგებლიანობა მონათა ინსტიტუციისა მდგომარეობდა იმაში, რომ გაბატონებულთ, ანუ, სწარეთ რომ ვსთქვათ, მონების პატრონთ, საშუალება ქონდათ მთავარი სამუშაოები, ოჯახის წარმოება მონების-თვის დაეკისრებინა, მათი ანაბარა გაეხადა. ამ გარემოებამ წარმოშობა ერთგვარი სოციალური დიუქრენცია (განსხვავება), მაღალი და დაბალი საზოგადოებრივი ჯგუფები, გაბატონებული და დამორჩილებულ-დამონებული კლასები. დამონებულთ გაბატონებული ამუშავებს, ხელში გდებულობს მათ ნაშრომ-ნაოფლარ; ბატონმა განუსაზღვრელი უფლება მოიპოვა მონათა ინდივიდუებზე, უკანასკნელი მის საკუთარებას შეადგენდა, მონა ბატონის სამუშაო ცხოველი იყო, უკანასკნელიც ბატონობდა მასზე, როგორც თავის საკუთარ ნივთზე. ისეთ უფლებრივ და მოკიდებულებამ ბატონსა და მონას შორის პირველი გააბატონა მეორეზე, მეორე დაუმორჩილა პარველს. ამან კი წარმოშობა ერთგვარი ბუნებრივი მისწაფება, ბუნებრივი მიღრეკილება, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ ერთს უნდა ეშრომნა, ოფლი ელვარა, მეურნეობა ეწარმოებინა, მეორეს კი სხვისი ნაოფლარ-ნაღვაწი ეჭამა, სხვისი ნაოფლარ-ნაღვაწე ექვიფნა. ბატონი მუშაობაზე ხელს იღებს, მუშაობას ერიდება, შის მაგიერ კი მისი

უურმოჭრილი მონა იღვწის, იგი აწარმოებს მთელ ოჯახს საქმეებს. ამ გარემოებამ კი, ე. ი. მონაბის აღორძინებამ, გაბატონებული კლასი გაალაღა და მიაჩინა ერთობის უმოქმედობას და მით გააძლიერა ადამიანის პრიმიტიული შიში შრომისადმი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან მთელ საქმეები, როგორც ზევით აღვინიშნეთ, მონების ხელით კეთდებოდა, მონები აწარმოებდენ. ძველ გაბატონებულ კლასებს მეტათ მრავალ მხრივათ ქონდათ ოჯახური საქმე განაწილებული, რომლის ამსაზღვებელი, რასაკირველია, მონები იყვენ. მთელი ოჯახური წარმოება სხვა და სხვა მრავალ ფუნქციებათ იყო დანაწილებული, თვითეულ ყმას განსაკუთრებული საქმე ქონდა მიჩიმებული. ბატონის სახლში ანუ ოჯახში მეჯინიბენა, მომვლელათ, ხელზე მოსამსახურეთ, მცველათ და მხლებელათ უსახუოთ მონები იყვენ. უმთავრესათ კი ამაია ხელით კეთდებოდა მთელი სასოფლო მეურნეობა, ესენი ხელმძღვანელობენ სამეურნო წარმოებას. მონების ხელშივე იყო მთელი ვიქრობა-ალებ-მიცემობა, ესენი იყვენ ხელოსნები. ძველ ბერძნების ნაწერებში ხშირათ მოთხოვნილი და აწერილია მონების სხვა და სხვა საწარმოვო დარგებში მუშაობა. თვით ზედამნედველებიც კი მონები იყვენ, ბატონი ამ მოვალეობა-ფუნქციასაც კი არ კადრულობდა, ისე სათაკილოთ მააჩნდა ფიზიკური თუ სულიერი მუშაობა. ხშირია ისეთი მაგალითებიც, რომ ესა თუ ის მონათა მებატონე მთელ წარმოების რომელსამე დარგს ამა თუ იმ მონას იჯარით გადასცემდა და უკანასკნელიც მოვალე ხდებოდა განსაზღვრულ დროს განსაზღვრული გადასახადი ბატონის სასარგებლოთ გადაეხდნა. პროფესორ ბიუხერის წიგნში დაწვრილებით მოთხოვნილია თიოქმის ყველა ის ფუნქციები, რომლებიც კი ევალებოდათ მონებს ძველ რომის ბატონის ოჯახში. იგი სწერს: მონა იყო ვაჭრობისა და საბანკო წარმოების ხელმძღვანელი, ის იყო ფაბრიკისა და მთა-მაღანის წარმოების მუშა, ის იყო ოჯახში მოსამსახურე, მოცეკვავე, მეოსუნჯე, სხვა და სხვა დასაკრავებზე დამკვრელი და სხვ... გარდა ამისა, იყვენ ერთგვარი მონები, რომლებიც საზოგადოებრივ მონებათ იწოდებოდენ: ესენი იყვენ ტაძარ-სალოცავების, სასამართლოების ამშენებლები, ესენი იყვენ, რასაკირველია, სახელმწიფო ხაჯების ამკრეფლები, რომლებსაც საფინანსო მოხელეებს ეძახდენ. დიახ, თვით ძველი სახელმწიფოებიც კი ამ გზით წარმოებდა. საბერძნების დედა ქალაქ ათინაში და რომის სახელმწიფოში ყველა დაბალი მოხელეები და მოსამსახურეები თიოქმის მონები იყვენ. მონები აკეთებდენ მიმოსვლის საქმეებს: გზა-ტკეცილებს, წყლის საყან მილებს და თხრილებს, გაყავდათ ფეხის-ალაგის თხრილები, ისინივე ასუფთავებდენ ფეხის-ალაგებს, ისინი ანგრევდენ კლდეებს და მუშაობდენ მაღაროებში; მონები იყვენ პოლიციის მოსამსახურენი, ჯალათები, საპყრობილებების დარაჯები, სახალხო კრებების დროს ხალხის დამახებლები, ანუ სასოფლე გზირები, საზოგადოებრივი შიკრიკები, სახელმწიფო მიწერ-მოწერის მიმტან-მოტანი, ტაძარ ეკლესიებში მოსამსახურენი, ქურუმთა კასტის ხელქვეითნი,

სახელმწიფო კასის გამეტები, გადამწერლები, მაგისტრა-  
ტების შეამატები; მონები იყვნენ ამა თუ იმ ღიღ მო-  
ხელას, ამა თუ იმ სარდლის გამცილებელი აპალები; მო-  
ნები იყვნენ ჯარის კაცებათ, სამხედრო გემებზე დაბალი  
მოხელეები, უბრალო მეომრები და სხ. იყვნენ ავტოვე  
მონების პრივილეგიური ჯგუფები, რომლებსაც სხვა-და-  
სხვა საპატიო სახელმწიფო თანამდებობა ევალებოდათ,  
ხშირათ ამა თუ იმ მონას ღიღი მამულ-დედული იჯარით  
ეძლეოდა და ერთგვარ ვასალურ დამოკიდებულებით  
ეკვრებოდა სახელმწიფოს.

ამ გვარათ, მთელი ანტიკური (ძველი) სახელმწი-  
ფოების ეკონომიური ცხოვრება, საზოგადოებრივი ფუნ-  
ქციები მონათა სისტემაზე იყო დამყარებული. მონე-  
ბი მუშაობდენ, ზედმეტ ნამუშევარს აკეთებდენ, ბატო-  
ნები, მონების პატრიონები კი ხმარობდენ; მონა თა-  
ვის ზედმეტ შრომით თავის გარდა სხვასაც ინა-  
ხავდა, კვებავდა. მისი ზედმეტი მუშაობა სხვის საცხოვ-  
რებელ წყაროთ გადაიქცა, მის საკუთარ შრომით სხვაც  
იწყო ცხოვრება. აი, აქედან იწყება სხვისი შრომის დასა-  
კუთრება, სხვისი შრომის დაჩემება.

როგორ და რა სახით სწარმოებს მოყენი ეს სხვისი  
ნაოფლის მითვისება, ამაზე შემდეგ ვილაპარაკებთ.

შვარცი.

## კორესპონდენციები.

**შტოლისის რკინის გზის დეპო.** შეითხვეს აუ-  
ბათ ესთომება ჩვენ წერილში მოევანილი ცნობები რ. გზის  
ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების შესახებ, რომელიც მო-  
ხდა 1908 წ. ეს უკნონო მოქმედება კი გამოიხატებოდა შემ-  
დება: მუშა-ხელოსნების გამოურიცხეს ჯამაგირებიდან ტეულ-  
უბრივად თვითუების 5 შ. 65 კ. ამის მიზანთ ასახელებენ  
ქურდობას, ვითონ, მუშების მიქნებეს ორთქმ-მავლის სხვა და  
სხვა ნაწილები, რასაც მოეკა ზემო აღნიშნული სასჯელი. ამის  
შესახებ ჩვენ დაწვრილებით გვეხდა მოხსენებული გაზ. „ალი“ ს  
№ № 5, 7., ამიტომ გამოიწერებას აღარ შეგუდგებით. მსო-  
ლოდ მოვიყვნ უკანასკნელ აბებს, რომელიც მოხდა ამ ფულის  
შესახებ ამ წლის აპრილის დამდეგში.

ამ ფულის მიღების შესახებ თქვენ გვექონდა ნება დარ-  
თული კრება სახელოსნოში და დიდი ხეის სჭაბასის  
შემდეგ კრებას აირჩია სამი გაცისგან შემდგარი დეპუტაცია და  
დააკალა ადმინისტრაციასთან შემდგომლებას, რათა დაეპრენე-  
ბით უკანებ ფული, როგორც უკანონო გამოიცხელული. მართლაც გასჭირა ამ ხერხს და დაგიბრუნებს 80 კ., დაარჩენ  
ფულზე დაგრძინდენ, შემდებარები მოგრძებოთ. ჩვენც ვეუწიეთ  
აქამდის, მაგრამ ისე ჭირისგან წმინდათ იყავთ, როგორც და-  
საშირებმა ჩაილების წყალი დალა! ამან ძალზე გააბრზა მუ-  
შები და ადრეს საჩივარი ადგილობრივ უფროსთან, რათა მას  
ეშვა მსათან სადაპარაკო მუშების დეპუტაცია ამ ფულის შე-

სახებ. ადგილობრივ უფროსმა მართლაც ადმინ შემდგომლო-  
ბა სადაც ჯერიც და მიეთეთ ნებართვა. ამით შესების დე-  
პუტაციას საშვალება მიეცა, ჰითის-პირ დადასტუმრდა, ტრაგის  
უმიზროსმა და მოეგონება ის ფულზე, რომელიც მანეე აღუ-  
თქვა 1908 წ. დეპუტაცია ჩერა წაყიდა „ტრაგის“ უფროსთან  
და ცოტა მოლაპარაკების შემდეგ მნაც აღუთქვა დანაშირების  
სარულება, თან ისიც დაურთო, თუ რა. გზის უფროსი დამ-  
თანიშნდა. გავიდა ერთი კერტა და მოვიდა ცნობა, რა. გზის უფროსმა უარეს მუშების თხოვნათ. მაგრამ მუშებმა მანც არ  
დაგარგეს იმედი, ისინა დარწმუნებულია იუგნ, რომ რაკი ფუ-  
ლი უკანონოთ იყო გამოიცხებოდა ასენა-განმარტ-  
იცის შემდეგ მასი უკნევე მიდება. „ტრაგის“ უფროსის გან-  
ცხადება უფრო ადელება ისინა და გადასწევიცეს, როგორც იქ-  
ნებოთდა, მიედწიათ რკინის გზის უფროსთან სადაპარაკოთ. დე-  
პუტაციამ აუხვი გვერდი ადგილობრივ უფროსს და მიმართა  
„ტრაგის“, რათა მას ადებას შეუძლებოლობა აქინის გზის უფ-  
როსთან, მაგრა მას წება მასთან დაპარაკისა. ასეთ შეა-  
მდგომლობაზე ტრაგის „უფროსმა“ თანხმობა განაცხადა და  
უთხრა დეპუტაციას, მე თვითონ შემოგითვლით, როდის მი-  
ღიღებთ სადაპარაკოთ.

გადას საში დღე, მოდის „ტრაგის“ უფროსი დეპოში და  
იარებს რწმუნებულებს მასთან სადაპარაკოთ. ისინც მიღიან.

„ტრაგის“ უფროსი აღებს რკინის გზის უფროსის ხელ-  
შირწოდლ ქადალდეს, ამდეგს მას ტრიუნებულებს და თან ლა-  
შარაკობს: „მე ვიუავი უფროსთან, გადავეც თქვენი თხოვნა,  
მნაც კეთილ-ინება და ნება მოგვცა, დაგიბრუნოთ ნახევრი იმ  
ფულისა, რომელიც თქვენ გამოგარიცხეს ჯამაგირებიდან  
1908 წელს. ამასთანავე, გაძლევთ ჩატრიქსნ სიტექსი, დაგი-  
ბრუნოთ დანარჩენი ფული შემდეგში, ახლა კი მეტი „გრედი-  
ცი“ არ გვაქსო. „გრედიცის“ გაგონებაზე ერთმა ვერარ მო-  
ითამისა და შემდეგი სიტექსით მამართა უფროსს; „როდესაც  
გვიპირიცხვდით, მაშინ არ გვეგოთხებოთ, თქვენ გრჩებათ შე-  
რის ფული თუ არა და როდესაც წაიღეთ, ახლა ჩვენ ფულ-  
საც არა გვიპირებით და „ერედიტებზე“ გვითითებთ „ო? მაგრამ უფროსმა აშ სიტექსის უყრი აღარ ათხვა, გადავიდა  
თავისი „შამბორივი“ დარიგებაზე და წაგვივითხა მთელი სატა-  
ცია: „აი, თქვენ არ გვერათ ჩემი გულებეთილობა; მე კი ძა-  
ლიან მიუვანს მუშები და ვიცავ კიდეც მათ ინტერესებს. ამის და-  
სამტკიცებლათ ის მაგალითიც სამარისია, რომ ჩემს განკა-  
გულებაშია 18 ლეპა და მიუხედავთ გამეფულებულ კრიზისისა,  
მე მანც შტატის შემცირებას არ მომსეფად აზრათ, მხოლოდ  
სხვა და სხვა მიზეზების გამო დავითხოეთ გავეცის რკინისის,  
გზიდან 2050 წაცი და იმათ ალაგზე არავინ მიგვიღა „-ო!“ თუ  
როგორი „გულებეთილობა“ ეს, მკითხველისთვის მიგვნდგას,  
მუშებმა კი იქნება აწინცებას ბა უფროსს თავიათი აზრი...

დასაბრუნებული ფული შედგენდა სელ 2549 მ. ამ ფუ-  
ლის სახევარი უკვე მივიღეთ 16 აპრილს, სახევარზე კი დაპირება  
მოგვცეს „გერედიტების“ გამო. როდესაც დეპუტაციამ მოთხოვ-  
და დოლ, როდის დაგვირიგებთ დაწერნილ ფულსთ, ბ. უფროს  
სი მეტათ განხისხდა და არ იცოდა რა ექნა, მოუხსნა თავი  
„გულებეთილობაზე“ და... ბევრი ილაპარაკა 1905 წელზე, „ქა-  
ლა განტებილებაზე“, „ურა“ მარქსიზ და სხ...

ა საუკადაგებოა დეპოს ჰარის მუშების მომედება. როდესაც

დავიშეთ ამ ფულის შესხებ დაბარავი, მიღმართეთ პარკის მუშებსაც, რომ ისინიც მაგვემარებოდენ (ეს კითხვა ეხებოდა იმათაც, როგორც ჩვენ), მაგრამ უკრადებია არ მაქტიეს. ასეთ საქციელს ზედ დაურთეს ირთიული დაცინვა. „რისთვის უნდა შევწენოთ თავი, ამისთვის ხომ დებოს მუშები წვალობენ და თუ ისინი მიიღებენ, მაშინ ჩვენც მავიდებთ“—ო, ამბობდენ. ასე მოიქცენ 1908 წ. ნება დართულ კრებების დროსაც. ბევრი ვეხვეწევა, მაგრამ მაინც არ მიიღეს მონაწილოება. ამას ჩადინ მაშინ, როცა მომჟერული უფლებებია მუდამ დღე მაქვთ! ასეთი გულ-ციფლი დაღუშების კარამდე მაგვა-ევნს უველას და რომ ეს არ მოგვივიდეს, სჭიროა ჩაუყვირდეთ და მომზადებული პასუხი გაუცემ ეთველივე ჩვენ შესხებ კითხვებს. ამას შევძლებოთ მაშინ, როდესაც ჩვენ კა არ დავუწებოთ ერთი-ერთეს თოვებას, არამედ ხელი-ხელ ჩაგიდებული ვივ-ლით ერთათ.

შეურთობული.

### სონის ნოქარ-შეგირდთა ცხოვრებიდან.

წარსულში საერთო სიტხიზე არც ხონის ნოქარ-შეგირდები დასტოდა ძილში. ამათაც მოითვევს საშუალო დროს განსაზღვრა, ჰიგიენურათ მოწყობილი ბინა ხაზეინების ხარჯით, გვირა-უქმე დღებში საკაჭოების დაცვით, ზღიარებისა მოშერება და სხვ. მაგრამ გაქრა ნეტრა დღეები და გაქრა ნოქარ-შეგირგების ბრძოლით მომჟერული უფლებებიც. გათამაშებულში ადგებს ჭავრა იურქს და რაც უფლებები ქონდათ ნოქარების მომჟერული, უველაფერი წაართვეს. დღეს ნოქარ-შეგირდების მდგრადი აუტანები არის. ადარა აქვთ გვირა-უქმებული დასეგნება, განსაზღვრული საშუალო დრო, ჰიგიენური ბინა და სხვა. გაგა თვე, წელიწადი და სოქების იშვაიათ ედირსება წმიდა ჭავრის შესუნთქვა, გარდა მაღაზიას მოწამეული ჭავრისა. უქმე და საქმის დღე სოქების ატუშული არან დუჭნის გარებობას მთელი 13-14 საათის განმავლისაში. ვაა, იმ ნოქარის ბრალი, რომელიც გაძედავს, რომ ხმა ამჟამად ხა-ზეინების წინაშე და მოთხოვთს ცოტა რამ. ბარგი შეკრული უნდა ქონდეს წასასვლელათ! ასეთ გარემოებას არაეთითა უკრადებების არ აქციებს ეგრევნ ეგრევ წოდებული „ბაზრის დაბუტა-ტები“. იმის საცვლათ, რომ სხვა მოფენების უთხრან: მაღაზები დროები დაკეტეთ, თვით უარქს შერებას. კვირა-უქმე დღე ისე ვაჭრობენ, როგორც ჩვეულებრივ. როცა სხვა გაჭარს ეკითხებით: მაღაზებს რათ არ გეტავ დროზე, ის მაშინვე ნაპის გებით გიპსების: არ, თქვენი „დემოკრატია“ ბაზრის დეპუტატი არ გეტავს და მე რათ დაკეტავო! ამ შეხით თავი ისახება განსაკუთრებით ბ-ნ ერ. ჭ-ემ. ეს ვაუბარონი მაღაზიას იმ დროს ადგებს, როცა კარგი გათენებული არ არის. კვირა-უქმებული ხომ მთელი დღე აწვალებს ნოქების დაცვით დღე აწვალებს ნოქების მაღაზიას.

ნოქებიც ქედ-მოხრილი ხმას არ იღებენ, რეტ-დასხმულივით არას და არ იციან რას მამართონ და ვის მიმართონ. ვერ სარგებლობებს 15 ნოქების კანონით და ვერც ადგილობრივი შედეგის „შროგაზით“.

პლუტონიული

## თეატრი და ხელოვნება.

**გამოსაცელი წარმოდგენა.** პირველ ივნის ქართულ თეატრში დრამატიული საზოგადოების გამკერძამ გამართა „გამოსაცელი წარმოდგენა“.

თვეშე მეტი მოიწოდებდა სსენებული გამკერძა სცენაზე შესლის მუზეულთ და ბლობს, გასულ სამშაბათს, ვინილეთ 9 ქალი და კაცი, რომელთაც, ეპვი არა, განუცხადებით ასეთი სურვილი.

მაგრამ, რამდენიმაც პირველ შთაბეჭდილებაზე შეიძლება დაყრ დნობა, უნდა ვალიაროთ, რომ ქართული თეატრი ამ ძალების იმედოვ ვერ დააღწევს თავს იმ კრიზისს, რომელსაც იყი განცილის დღეს.

აღნიშვნულ საღამოს წარმოდგენის თითქმის ვერც ერთმა მონაწილემ ვერ გვიჩვენა ნამდვილი ხელოვანის ცეკვლი. იყო, ისიც ხანდისხან, მხოლოდ ნაპერწკლები. საერთო კი ჩვენ წინ ჩვეულებრივი სცენის მოყვარენი იყვენ, რომელთაც დაესწავლათ როლი, დამახსოვრებით რეესიორის ნაჩვენები რამდენიმე ადგილები და... სხვა ბევრი არაფერი... რასაკირუკელია, შეიძლება ამას ქონდეს ბევრი საპატიო მიზეზი, რომელთა მოაპონას შემდეგ წარმოდგენის პატივცემულ მონაწილეთ შეუძლიათ გაშალონ თავიანთი ნიჭი, მარა აღნიშვნული საღამოს შთაბეჭდილება ასეთაა... თუ გარკონენ, ისევ ქალები.

მანცა და მანც ჩვენ იმ აზრისა ვართ; რომ დრამატიული საზოგადოება არ უნდა დაეყრდნოს პირველ გამოცდას. მით უმეტეს, რომ რა სუსტიც არ უნდა იყოს პირველი გამოცდა, გადაჭრით რისამე თქმა მანც ძნელია. მაგალითთ, ძალიან მოსალოდნელია დადებითი შედეგი მოყვეს ქ.ქ. წუწუნავასა, გივაურის და ლოლუას მეცადნეობას. პირველ ორი შედარებით კარგათ უჭირავთ თავი სცენაზე და დიქციაც კარგი აქვთ.

რაც შეხება ქ-ნ ვიქტორელს, კველაფერს რომ თავი დავანებოთ, გამოთქმაში პირდაპირ ბუნებრივი ნაკლი აქვს, ამიტომაც საცენოთ არ გამოდგება, რაღონ ამ ნაკლი მოცილება, ჩვენი აზრით, შეუძლებელია. ქ. ლოლუა იმიტომაც მიგვაჩნია უფრო საიმედოთ, რომ ასეთ ბუნებრივ ნაკლს მოკლებულია და პირველი გამოსვლით მისი დაფასება შეუძლებელია. ვაეგბში არც ერთი არ ვარგოდა. შეუძლება რამე ვამოვიდეს მაფორასასა და ვანელისა-გან, თუმცა საიმედო ბევრი არაფერი მოუციათ. ვისენიებთ მათ მხოლოდ როგორც უფარგისთავან უკეთესებს.

აქვე არ შევიძლია არ შევნიშნოთ რეესიორს, რომ მისი ქართველი ტეტია (ბ. ზანშიაშვილი) უნიჭობის გარდა მეტათ შარვიული იყო და ეს უფრო მის დანაშაულათ ჩიირვლება ვიდრე თვით მოთამაშისა. მართალია, ქართველი გლეხი ჯერ კიდევ ტლან-ქი და გაუთლებილია, მაგრამ ის ბუნებით დაჩაგრული არ არის და მის დახასიათებაში გადამეტება სრულიად არ არის საჭირო. ბ. შენშიაშვილი კი სულ სხვას ცდილობდა წარმოედვინა ჩვენს წინაშე. შარუი აქ უადგილო იყო.

— და

### სოციალიზმი და ანარქიზმი.\*)

(შროგაზით ნ. რაიხებურგის)

XIII

გარდა ანარქიზმის საზოგადოებრივ იზე-ალზე.

ამ საგნის გამორკვეუას ჩვენ რამდენიმე შენიშვნა უნდა წავუძღვაროთ. წინააღმდეგ სოციალიზმის საზოგა-

დოებრივ იდეალის გამორკვევის სიადვილისა, თუ რასა-კვირკველია, საქმეს შევუდგებით მიუდგომლათ, ანარქიზმის იდეალის გამორკვევა არ არის ადვილი საქმე. ამის უბრა-ლო მიზეზი უმთავრესათ ის არის, რომ თვით ანარქისტებიც არ არიან ჯერ შეთანხმებული ამ საგანზე. პირიქით, ყოველი ანარქისტი, თავისი კერძო შეხედულების თანა-ხმათ, თავისებურათ არკვევს ამ საზოგადოებრივ იდეალს მომავლისა, რასაკვირკველია, თავისი პირადი პასუხისმგებ-ლობით და რისკით. ამიტომ, ცალკე ანარქისტების იდეა-ლები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მაგრამ ყველა ანარქისტთა თავისებურ იდეალებში შეეძლება ორი დაახლოვებით ტიპიურის გამონახვა. ზე-ვით უკვე აღნიშნეთ, რომ ანარქისტების საზოგადოებრივ იდეალების საფუძველიც მათ ისტორიულ განვითარების შეგნებაშია, რომელსაც შეადგენს უკიდურესი ინდივიდუ-ალობის პრინციპი.

ანარქიზმი ისტორიაში მხოლოდ ადამიანის პიროვ-ნების თავისუფლების დაჩაგრის ფორმებს ხედას (პოუ-ლობს). ბუნების მიერ თავისუფლებისათვის გაჩენილი ადამიანი მხოლოდ იმ დრომდის იყო გან უსაზღვრელათ თავისუფალი, სანამ ის განცალკევებულათ ცხოვრო-ბდა—არც არავისი იმედი ქონდა და არც არავისგან იყო დამოკიდებული. ამ დროს ის სრუ-ლიად ბელნიერი იყო, რალგან არავის არ უკავშირდებო-და ხანგრძლივათ; მას შეეძლო სავსებათ გაყილოდა თა-ვის საკუთარ სურვილებსა და მასწრაფებას, —რალგან სრუ-ლიად გულგრილათ უყურებდა ყველა სხვა ადამიანებს, რომელნიც კი ხვდებოდენ მას ცხოვრებაში.

ამ მდგომარეობით იწყება ისტორია, მაგრამ ის ვერ შეიქნა ხანგრძლივი, რალგან ეკონომიურმა ინტერესებმა გამოიწვია ბრძოლა კერძო ადამიანთა შორის, მიუხედა-ვათ იმისა, რომ ყველა ადამიანთა ინტერესებს შორის გარ-მონია (თანხმობა) არსებობს. ამის მიზეზი იყო არსებულ მდგომარეობასთან უგუნური მოყვრობა.

ყოველთვის ადვილი არ იყო ცხოვრებისათვის საჭი-რო საშვალებათა მოპოვება, ხშირად ერთ ადამიანს მხო-ლოდ მეორესაგან წართმევით შეეძლო საჭირო ნივთების მოპოვება. აქ, როგორც საზოგადოთ ყველა სხვა ბრძო-ლაში, გამარჯვებული ის რჩებოდა, ვინც უფრო ღონიე-რი იყო ფიზიკურით. ამათ რჩებოდათ უპირატესობა.

როცა ძლიერებმა კარგათ შეიგნეს თავიანთი ინტე-რესები, შეერთდენ კიდეც, რომ უფრო ადვილათ და თა-მამათ დაემორჩილებიათ და ეკარცვათ სუსტები. ეს ძლი-ერთა ორგანიზაცია გადაიქცა სახელმწიფოთ. სახელმწი-ფოს ნამდვილ, კეშმარიტ არსებით მხარეს შეადგენს უმ-რავლესობის თავისუფლების შეზღუდვა უმცირესობის ინ-ტერესების დასაკმაყოფილებლათ.

სახელმწიფოს დაარსებიდანვე უმრავლესობის თავისუფლების ადგილი დაიჭირა რჩეულთა მონოპოლიებმა და უპირატესობამ. სახელმწიფო თავისუფლების საფლა-ვათ გადაიქცა, მან დაღუპა ადამიანის არსება, გარეუ-იგი საშინლათ.

მაგრამ, ანარქისტების სწავლით, არა მარტო სახელ-

მწიფოა აღამიანოთ თავისუფლების დაღუპვის შიზეზი. ამ საქმეს ხელს უწყობდა ბევრი სხვა დაწესებულებაც, რო-მელიც თვით აღამიანებმა მოაწყვეს. ასეთი ყველა ის ორგანიზაციები, საღაც კერძო პიროვნება მთელი ერთე-ულის ნაწილათ ითვლება, რადგან მას არ შეუძლია გა-ნუსაზღვრელათ გამოაშეარავოს თავისი ნება და იძულე-ბულია დაემორჩილოს სხვის ნებას, უმრავლესობას.

თვით იმ სულიერ ატმოსფერას, რომელიც შექმნა ისტორიულმა მსვლელობამ და რომელშიაც ადამიანი ცხოვრობს, შეუძლია უმდაბლეს საფეხურამდე ჩამოიყვა-ნოს ყოველგვარი დამოუკიდებლობა, შეუძლია გააქროს ადამიანში თავისუფლება აზრისა და ნებისა. საითაც არ უნდა მივიხდოთ, ყველგან ისეთ პირობებს დავინახავთ, რომელნიც გვიჩვენებენ, რომ ისტორიას არ დაუზოგავს ძალ-ლონე ადამიანის ასების გასათახსირებლათ და დასა-მახინჯებლათ.

და თუ ეს ასეა, მაშან ეჭვს გარეშეა, რომ ადამიანი იმაზე უკეთეს ვერას მოაქმედებს, როგორიცაც თავის მიზნათ ისტორიის მსვლელობის შეცვლის დასახვა, იმ გზი-დან აცდენა, რომლოთაც დღემდის მიმღინარეობდა და ისეთ ცვლილებათა შეტანა, რომელნიც სასურველათაა მიჩნეული.

თუ როგორი ცვლილების შეტანა უნდათ ანარქისტებს ცხოვრებაში ისტორიის მსვლელობის ნამდვილ სწორ გზაზე დასაყენებლათ, ამას ჩვენ დავინახავთ მათი საზო-გადოებრივი იდეალის გაცნობის დროს.

#### XIV

**მომავალ ანარქისტულ საზოგადოებაში სახელ-მწიფოს აღარა აქვს ადგილა. ანარქიზმი უარყოფს სახელ-მწიფოს არა თუ მისი დაევანდელი მნაშვნელობით, არა-მედ, საზოგადოთ, ყოველგვარი სახით. ის უარყოფს სა-ხელმწიფოს, როგორც აღმასრულებელ კომიტეტსაც. მო-მავალ ანარქისტულ საზოგადოებაში არც სხვა ისეთ მტკი-ცე დაწესებულებებს და ორგანიზაციებს აქვს ადგილი, რომელთაც შეეძლებათ თავის გავლენით შეზღუდონ კერ-ძო პიროვნებათა ნება; არა აქვს ადგილი არც რაიმე გა-დაწყვეტილებათ, რომელთაც უნდა შეავიწროვონ ადა-მიანი თავის მოქმედებაში, თუნდ მას რომელიმე შემთხვე-ვაში წინეთ გამოეთქვას სურვილი ამ დაღენილების შე-სრულებისა.**

პიროვნება აქ სრულიად განუსაზღვრელი მბრძან-ბელია თავისი თავისა და მისი თანხმობაც მხოლოდ მა-ნამდის რჩება ძალაში, სანამ თვითონ სურს ამის უქსაზღ-ლება. პიროვნების თავისუფლება ყველაფერზე მაღლა სდგას. ადამიანმა მხოლოდ თავის მოთხოვნილებათა დაკმა-ყოფილებაზე უნდა იზრუნოს.

ეს უკანასკნელი გარეშემოება, ე. ი. მოთხოვნილება-თა დაკმაყოფილება აყენებს კითხვას, თუ როგორ უნდა მოხდეს ეს დაკმაყოფილება.

აშეარაა, რომ კერძო პიროვნებას საკუთარი ძალ-ლო-ნით არ შეუძლია თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფი-ლება, ნამეტური, თუ იგი შეჩვეულია თანამედროვე კულ-ტურის. ნაწარმოებით სარგებლობას. ამ შემთხვევაში მას

დასკირდება სხვისი დახმარება და დაკმაყოფილებაც ამ სხვებზე იქნება დამოკიდებული. მაში, როგორ და რა გზით შეიძლება ამ საჭიროებისა და პიროვნების განუსაზღვრელი თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და თვით-გამორკვევის შეთანხმება?

(დასარული იქნება).

## კორრეციული უსდომების გასწორება.

„სხივის“ № 13, 2 გვ. სვ. 1. მესამე სტუქონში ზე-ვიდან დაბეჭდილია: „იგი არის მებრძოლი კაპიტალი...“ უნდა იყოს: „იგი არის მებრძოლი კაპიტალის“. რქვე მეშვიდე სტუქონში დაბეჭდილია: „ეს იმპერიალისტები სულ ყოველთვის თავს სდასტრიალებს სამი ივნისის დუმში“... უნდა იყოს: „ეს იმპერიალისტური სული ყოველთვის“ და სხვ. 15 გვ. მეთორმეტე თავის დასაწყისში დაბეჭდილია: „მაგრამ ეს ახლო წყობილება ხელოვნებით გადაქმნის შედეგი კი არ იქნება...“ უნდა იყოს: „მაგრამ ეს ახლო წყობილება ხელოვნური გადაქმნის“ და სხვ.

რედაქტორ გამომცემელი ე. ფურაბეგიძე

გამოვიდა და იქადება ეველა წიგნის მადაზიებში მ. ჯაბარის წიგნი

## უძრავ კონებათა უფასესება

### და მათგა დაღეგული გადასახატი.

ცნობების მაჩვენებელი უძრავ ქონებათა მეპარტნებისათვის, მათ მთიანადრეულებისა და მოურავებისათვის; ქადაქის დამზადებილთა და აგენტებისათვის; თვითმართველობის მოდგრებებისა და მთხმსახურებისათვის. ფასი 40 კ. (2-2)

პარასკევის, 11 ივნისს

## სახალხო სახლში გაიმართება

### საღამო

ლიტერატურული გასამართლება

განდეგილისა, ი. ჭავჭავაძის პოემიდან.

II

აშენდა საქართველო! სცენები სტუდენტებიდან.

დასაწყისი საღამოს 8 საათ.

გამგე ა. ლანდია

## სახალხო სახლი.

სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე.

ს უ თ შ ა ბ ა თ ს, 10 ივნისს

წრის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

### მეზობლები

პიესა 4 მოქმედ. ტრ. რამიშვილისა.

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

შემდეგი წარმოდგენა გაიმართება შაბათს, 19 ივნისს, მზადდება წარმოსადგენათ „ებრაელები“, დრამა 4 მოქმედ. ჩირიკოვისა.

ა 3 ჭ ა ლ ი ს ა უ დ ი ტ რ ლ ი ა.

კვირას, 6 ივნისს, 1910 წელს, ქართულ სცენის მოყვარეობან ვ. მატარაძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

### სამხედრო განაკვირვება

დრამა 4 მოქ. თარ. ა. იმედაშვილისა.

მონაწილეობენ, ქ-ნი: ანკარა; ბ-ნნ: გ. ანშვიდი, მ. ინაშვილი, ს. პეპანეგი, ვ. მატარაძე, ს. რომანიშვილი, ა. მეტრეველი, სალეაზა, მაწავიძე, ბადრიძე, ბ. სოსოშვილი, ფრანგიშვილი და სხვანი. დასაწყისი საღ.  $8\frac{1}{2}$  საათზე.

### „ჩვენი გაზეთი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს :

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

ქალაქ გარეთ	თფილისში
3 თვით—2 მან. 50 კაბ.	3 თვით—2 მან. 20 კაბ.
1 „ — — 90 „ 1 „ — — 80 „	

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხლოდ თვის 1-დ რაცხვიდან ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

რედაქციის ადრესი:

რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი აღრესი:

თემის, თემ. „შრომა“ კალისტრატ კონს. ცულაძე.